# საერთო გაზეთი

№35 (727)
ოთხშაბათი
1 ნოემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## „მატარებელი-2024“ მალე გამოვა დეპოდან




„რესპუბლიკელები“ პოლიტიკური ვირთხები არიან. საწყალ ლევან ბერძენიშვილს „რესპუბლიკური პარტიიდან“, 3%-იან ჩამშვებს უწოდებდნენ, ეს ქალბატონი სამნიძე, რამდენპროცენტიანია, ნეტავ? ხათუნა და მასზე მიდევნებული ბევრი „ხათუნები“ ის ჩვეულებრივი ჯანმრთელი ვირთხები არიან, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ ხომალდი კი იძირება, მაგრამ ჯანი მოსდევთ, რომ ის წინააღმდეგობები გადალახონ, რაც მიმავალ მატარებელში აძვრომამდე წინ დახვდებათ.

# ჩემი სავალი გზიდან არასოდეს გადამიხვევია



...მე ის კაცი არა ვარ, ვინც გეგმებით ცხოვრობს. არასოდეს არაფერი დამიგეგმავს, მეზიზღებოდა დაგეგმილი ცხოვრება.

...პოპულარობა მტანჯავს. ქალაქში მცნობენ და ცდილობენ მასიამოვნონ. მე კი უკანმოუხედავად გავრბივარ. ადამიანურად, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ პოპულარობა მაინც იაფფასიან ესტრადას ჰგავს.

...როლზე უარი ბევრი რამის გამო მითქვამს, მაგრამ ფინანსური ინტერესების გამო – არასოდეს.

როლები არასოდეს მაკლდა, ძალიან ბევრს ვმუშაობდი... იყო წლები, კინოში ერთდროულად ოთხ-ხუთ ფილმში მიღებდნენ. ძალიან დიდ დროს ვატარებდი თვითმფრინავში და მატარებელში. ხშირად ტექსტის სწავლაც კი მგზავრობისას მიწევდა.... იცით, თითოეულ როლში სიცოცხლის ნაწილი თუ არ ჩადე, ისე არაფერი გამოვა. შეიძლება სხვას გამოსდის, მაგრამ მე ასე არასოდეს მითამაშია. ყოველთვის ბევრს ვთხოვდი საკუთარ თავს, თუმცა მეგობრებთან ურთიერთობასაც ვასწრებდი და მათთან ქეიფსაც. ამ მუშაობაში სიბერე ისე მომეპარა, ვერც გავიგე.

მარტოობა მიყვარს, საკუთარ თავთან დიალოგი მშველის ხოლმე ყოველთვის. მთაში უკეთ ვგრძნობ თავს, მთა ჩემი წარმოუდგენელი სიყვარულია, უსაკო ვარ ცხენთან და მთასთან. ყოფილა შემთხვევა, მარტოდმარტოს გამიტარებია მთელი შვებულება მთაში, ხევსურეთში. კარავი, სიახლოვეს წყალი და მცირეოდენი საკვები საკმარისია... თუ ცხენიც გყავს, ეს ხომ ნეტარებაა!

„ვერა ვუშველე მიწასა, / ანეულს, მოსულს ხნულზედა“... ჯეელმა ვერ და სიბერეში რაღას ვუშველი?! ძალიან მალე გავიდა დრო.... ისე, იცით, დღევანდელი გადასახედიდან ჩემს ცხოვრებას თვალს რომ გადავავლებ, რას ვფიქრობ? კავკასიონის მწვერვალები ხომ გინახავთ – მისი ზედაპირი ზოგი მაღალია, ზოგი დაბალი. ასევე იყო ჩემი ცხოვრებაც: იყო სიმაღლეებიც და იყო ვარდნებიც, მაგრამ ჩემი სავალი გზიდან არასოდეს გადამიხვევია.

**თენგიზ არჩვაძე**



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან - ნუნუკა თამაზაშვილთან ერთად ცნობილი ქართველი მსახიობის – თენგიზ არჩვაძის დაკრძალვაზე იმყოფებოდა.**

**მთავრობის მეთაურმა გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა.**

**თენგიზ არჩვაძე 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართველი მსახიობი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.**

# კაი ყმის სიკვდილი დიდი დარდი და მწუხარებაა სამშობლოსათვის



კაი ყმის სიკვდილი დიდი დარდი და მწუხარებაა სამშობლოსთვის, კაი ყმა სამშობლოს უკვდება და ბოლომდე სულდგმულობს სამშობლოს სიყვარულით... თენგიზ არჩვაძე კაი ყმის ცოცხალი ფენომენი იყო, რომელიღაც დროიდან გადმოხვეწილი ამ სამყაროს „თეატრალურ სცენაზე“, როგორც ლტოლვილი ალუდა ქეთელაური... ვაჟა-ფშაველა იყო მისთვის პოეზიის „მისტიკური კერპი“. ყოველი მისი სტრიქონი ზეპირად იცოდა და განიცდიდა - „სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას რომ კვლენ ცქერა გვწადიან“... ვაჟა-ფშაველას პარადიგმული სახე მას სიხარულის ვნებას ანიჭებდა... „ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა: მშვიდობით, საჯიხვეებო, გამახარელნო თვალისა, მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო, გულში ამშლელო ბრალისა, მშვიდობით, ჩემო ბატონო, ყმათად მიმცემო ძალისა“... ხშირად წარსთქვამდა უბადლო პოემის ამ სტრიქონებს ალუდა ქეთელაურის როლის უბადლო შემსრულებელი, დიდებული ჩაუქი... და მეჩვენება, რომ საწუთროს ჰორიზონტზე ჩრდილგადახრილს, ამ სტრიქონების ჟღერა და ექოები მოახედებენ უკან: „ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ მობრუნვა თავისა...“ ვეფხსა და ვეფხთან მეომარ მოყმეს ხევსური ქალები ერთად დასტიროდნენ „პელაზგური გვრინებით!“... დაიტირეთ, დაიტირეთ, ლამაზო ქალებო, ეს ვეფხთან მეომარი მოყმე, ქართული კინოსა და თეატრის „იუპიტერი“. „ვაჟკაცსა გლოვა უხდება, მკვდარ ძმას - ტირილი დისაო!..“ დაიტირეთ, ლამაზო ქალებო, ცრემლი არ დაინანოთ...

**კობა არაბული**

**ლევან ანჯაფარიძე**

## მე ქართველი ვარ!

**ვინ ხარ? ვინ ხარ...**

**მე ვარ ქართველი, ფესვებით კოლხი,**
**მთელი ცხოვრება მოვდივარ ომით,**
**ჯერ არ დავღლილვარ, არც დავიღლები,**
**მე ვარ ქართველი, ამაყი ქორი.**

**- რას ისურვებდი?..**

**მშვიდობა იყოს, კაცი არ ფლიდობდეს,**
**მოხუცს, არ შიოდეს, და არც ეშინოდეს,**
**მტერი არ ცდილობდეს, მოყვრის ხელებით,**
**სამშობლოს სისხლის მდინარე სდიოდეს.**

**ბავშვი, ბავშვს ჰგავდეს და არ სციოდეს,**
**ძმა ძმას არ კლავდეს - კაენი ტიროდეს,**
**ჯვარი გვეწეროს, რომ ჩვენს ძარღვებში,**
**სისხლის მაგივრად, ზიზღი ღვიოდეს.**

**- ხალხს რას უსურვებ?.. უსურვებ...**

**ახედეთ ცას, რომ თავად იხილოთ, თქვენი**
**სამშობლო თავისუფალი,**
**ხალხი ღიმილით მოსიარულე,**
**მოსიყვარულე და ქედუხრელი...**
**ჰაერი სავსე თავისუფლებით, ჰაერი სავსე**
**ბედნიერებით,**
**ჰაერი სავსე სიყვარულით და**
**ნაირ-ნაირი ნათელ ფერებით!**

**- და შენ ვინა ხარ, გამიმეორე!**

**მე ვარ ქართველი,**
**ფესვებით კოლხი,**
**მე ქართველი ვარ,**
**ამაყი ქორი!**

**მასეც იქნება... ნებაა ჩემი... ნებაა ჩემი**
**ნებაა ჩემი...**




**შესანიშნავ რეჟისორს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, მკითხველსა და რესპონდენტს ლევან ანჯაფარიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს. მკითხველს კი მისი პოეზიის ერთ ნიმუშს ვთავაზობთ.**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

# ჩვენი თვითმყოფადი კულტურა სამყაროს იტევს




როდესაც საკუთარი ქვეყნის მტერი ხარ, სრულებით არ გაინტერესებს, რას აკეთებს შენი მფარველ-დამცველი ხელისუფლება შენივე კეთილდღეობისთვის.

უახლოესი წარსულიდან ყველას კარგად გვახსოვს ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენის მწარ-მწარე ფრაზები, ოპოზიციის გარდა, ყველას ყველაფერს რომ გვიწუნებდა. უეცრად რაღაც დაემართა ხსენებულ ქალბატონს და „გლობალური კარიბჭის" ფორუმზე ჩვენი პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი მიიწვია. რომ არ მიეწვია — გამიკვირდებოდა, მაგრამ რომ მიიწვია, უფრორე გამიკვირდა!..

საქართველოს ხელისუფლებამ ისეთი კურსი აიღო და ისე მშვიდად აკეთებს საკეთებელს, მუდამჟამს ის სიტყვები ჩამესმის, საქმის გაკეთებას ფ(პ)იარი არ სჭირდებაო. სჭირდება, ბატონო ჩემო!

საქართველო ოდითგანვე ის უცნაური ადგილია, რომელიც გეოგრაფიულად ევროპა-აზიის გზაგასაყარი ჰქვია. „ღვთისმშობლის წილხვედრი" სამასხარაოდ გახადეს, „რა ხდება წილხვედრშიო", — წილხვედრში ის ხდება, რომ სწორედ იმ წილს იღებს, რაც ეკუთვნის!

განგებამ (მე ასე დავარქმევ) საქართველოს ევრაზიის კარიბჭის ადგილი მიუჩინა, იმ ევრაზიისა, რომელიც მსოფლიოს გეოპოლიტიკური ღერძია. ის, ვინც ფლობს ევრაზიას, ფლობს მსოფლიოს. — ეს ჩემი სიტყვები არ არის!

უხსოვარი დროიდან, ამ გასაღების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიშპებოდნენ ოთხივე კუთხის სახელმწიფოები. რამე შეიცვალა (იმ საკვირველებაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მართლა ერთი მუჭა ვართ და ვართ და ვართ...)?

იმ ფაქტმა, რომ, საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა მსოფლიოსთვის ოდითგანვე ძალიან მიმზიდველი იყო, განაპირობა ის, რომ მისი სახელმწიფოებრიობის ყველა მონაკვეთში იშვიათად იყო დამოუკიდებელი.

ამ ეტაპზე აშშ-ისა და რუსეთის ჭიდილში ვართ გაჩხერილი. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების მთელი სპექტრი პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულები არიან ამ მავნებლობაში. ვითომ ვცდილობთ, მაგრამ ვერ ჩამოვყალიბდით პატრიოტულ პოლიტიკურ ძალად, რომელიც თანაბრად კეთილგანწყობილი იქნება ამ ორი მონსტრის, აშშ-ისა და რუსეთის მიმართ, გაითვალისწინებს და დააბალანსებს ორივე აგრესიული ზესახელმწიფოს ინტერესებს საკუთარ ინტერესებთან და მყარად დადგება ეროვნულ ნიადაგზე.

ამხელა შესავალის გაკეთება იმიტომ დამჭირდა, რომ მეთქვა: ის, რაც ბატონმა პრემიერმა წამოიწყო" — ცხადია, გუნდთან შეთანხმებით, უძვირფასესი საქმეა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის.

ბრიუსელში ჩაბრძანდება ბატონი პრემიერი თუ აქეთ ჩამობრძანდებიან, ხაზი ერთია — საქართველო უპირველეს ყოვლისა!

არავის აპლოგეტი და კუდისმჭერელი არ გახლავართ, ერთი რიგითი ქართველი ვარ!..

„საერთო ნიადაგის კონცეფცია" ჯერ კიდევ იმ დროში, ილიამ, არჩილ ჯორჯაძემ და მათმა თანამედროვეებმა წამოიწყეს. ეს კონცეფცია სახელმწიფოებრივი ეროვნული იდეოლოგიაა. ეს მიმართულება ამ ეტაპზე ერთგვარ გაუგებრობას იწვევს არა მხოლოდ საქართველოთი დაინტერესებულ ორ ზესახელმწიფოში, არამედ, სხვა ქვეყნებშიც. მრავალგვარად დამაბნეველია პატარა საქართველო, რომელსაც ისეთი პირი უჩანს, რომ ძალიან მალე გახდება ის მოთამაშე, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების საგანი აღარ იქნება, პირიქით, მათი ურთიერთთანამშრომლობის პლაცდარმად გადაიქცევა. სწორედ აქედან გამომომდინარე გახდება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველი გეოპოლიტიკური პლურალიზმი. ეროვნული მიზნის მისაღწევად საერთაშორისო კონიუქტურის მიხედვით ყველა ძალასა და მოკავშირეს გამოვიყენებთ (არ ვიცი რატომ, მაგრამ მომიტევეთ, თუ ასე ვხედავ).

შინაურ მტრებს რა გამოლევს, სასაცილოდ გახადეს ბატონი პრემიერის ვიზიტი ყველგან... იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის — ჩემი სიტყვები არ არის!..

თანამედროვე გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, სადაც, თითქოსდა უკვე ყველა ფიგურა გადანაწილებულია, საიდანღაც ჩნდება რაღაც პატარა საქართველო სადღაც კავკასიაში და ისტორიულ ფუნქციას იძენს...

მოგეხსენებათ, ჩვენი სამშობლო მდებარეობს იმ ადგილზე, სადაც ხმელთაშუა ზღვის არეალი ყველაზე მეტად იჭრება მატერიკში. ჩვენი ქვეყანა სწორედ ამიტომ იყო ყოველთვის სატრანზიტო. მხოლოდ მაშინ „მოსძვრა" ეს ფუნქცია, როდესაც მტერმა დაიპყრო და „არტერია" გადაუკეტა, მიითვისა და ახლა, როდესაც ყველანაირი გზა ხსნილია, პრემიერის ვიზიტები ვითომ სასაცილოა?

გზა, რომელიც გაკვალა ბატონმა პრემიერმა, არის ის გზა, რაც საქართველოს აღორძინების დასაწყისია. ამჯერად, შესაძლოა, ეს სიტყვები ზეაღმატებულად, ან მყიფედ ისმოდეს, მაგრამ ლოგიკით — ასეა!

ელემენტარულია: დედამიწაზე არ არსებობს ერი, რომელსაც საქართველოს მსგავსი საბრძოლო ისტორია ჰქონდეს — რამდენჯერაც დაეცა, იმდენჯერ გაცოცხლდა...

გლობალიზაცია ობიექტური პროცესია და გულისხმობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების კონვერგენციას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდებდება სრულიად ახალი, ე.წ. ევრაზიული კავშირი, ე.წ. ევრაზიული ცივილიზაცია. ამ დროისთვის ვინ არის ამისთვის მზად?

ჯერ ხმა არ გვესმის „დიდი მოთამაშეებისა", ჩაეძინათ?

ბატონი პრემიერისადმი, გარდა იმისა, რომ პირადი სიმპათია მაქვს, როგორც სახელმწიფო მოღვაწის მიმართ, ცოტა სხვანაირი სოლიდარობის გრძნობაც მაქვს. ეს არის ადამიანი, რომელიც არ ცდება გზას.... თავისთავად, გასაგებია, რომ ეს გუნდია და ბატონი პრემიერი გუნდის ლიდერია, მაგრამ ეს ხომ უნდა დაინახო და დააფასო...

ჩვენ, ქართველები, უნდა გავძლიერდეთ იმით, რომ გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის გამო ავანგარდში ვართ. ჩვენი თვითმყოფადი კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა ერთობაა, ყველა ასპექტს ითავსებს. ჩვენი კულტურა ერთია, განუმეორებელი, მაგრამ ორივე სამყაროს იტევს....

ჩვენი უწმიდესის სიტყვებია; „ჩვენი კულტურა ევროპისა და აზიის კულტურული მემკვიდრეობის ჩვენეული აღქმაა და არა მექანიკურად განმეორება სხვათა ნააზრევისა. ამიტომაცაა იგი ძვირფასი. ამიტომაც შევიტანეთ ჩვენი ღირსეული წვლილი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში."

ცოტა უცნაურად მესმის ხოლმე „დასავლური ფასეულობები" და „აზიური სისასტიკე", მაგრამ ესეც სამყაროს ნაწილია, ოპოზიცია კი როდის შეწყვეტს მავნებლობას, ნეტავ? საკუთარი ქვეყნის ოპოზიციაში ყოფნა სად ამოიკითხეს?...

გასაგებია, რომ ურყევად გვიკავია ორიენტაცია დასავლურ კულტურაზე, მის სოციალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე, მაგრამ აღმოსავლური ფასეულობებისაც რომ ვართ, ამისი გვრცხვენია? მე — არ მრცხვენია!

აი, ამიტომ არის საქართველო უნიკალური!

რატომ გვეშინია ყველაფრისთვის იმ სახელის დარქმევა, რაც რეალურად ჰქვია?

საქართველოს ბედი ასეთია, კვლავ აღსდგება, მაგრამ ამასობაში დრო გადის, ჩვენ გვეკარგება ინტელექტუალური ძალა...

ეს გზა, რაც ახლა გვიდევს ხელისგულზე, ის გზაა, რაც პატარა საქართველოს წაადგება. ეს ერთი დიდი საქმეა დიდი მომავლით. გააზრება უნდა, თორემ აგერააა... ასე როგორ და რატომ უნდა გძულდეს საქართველო, რომ ეს არ დაინახო?!

როდესაც ბატონი პრემიერი ბრიუსელის ტრიბუნიდან მსოფლიოს ეუბნება, რომ საქართველო გადაიქცევა რეგიონულ სატრანსპორტო, ლოგისტიკურ და ციფრულ ცენტრად, სულ მცირე, გულში მაინც ხომ უნდა გაგიხარდეს?

რაგინდ სკეპტიკურად იყო განწყობილი, რომ საქართველოს არ აქვს სახმელეთო კავშირი ევროპასთან, შავი (პონტოს) ზღვით პირდაპირი კავშირი ევროპასთან რატომ უნდა მოიტანო დამაბრკოლებლად, ბოდიში და, სასპეკულანტოდ?

სტუმრადაც უნდა წავიდეთ ყველასთან, საქართველოშიც უნდა მოვიწვიოთ ყველა — ელემენტარულია, მსოფლიო უნდა გიყვარდეს და მსოფლიოც შეგიყვარებს...

„შუა დერეფანი" ვართ, ამაზე საკვირველი ადგილი დედამიწაზე არ არის, ჩვენ გარდა ყველა ხედავს და აქ თვალზე ხელს ვიფარებთ, თუ რა მტრობა გვჭირს საკუთარი სამშობლოსი?

„აბრეშუმის გზა" ოდითგანვე საქართველოზე გადიოდა და ისევ გაივლის, სხვა უმოკლესი გზა რომ არსებობდეს, აქამდე იქ გაივლიდა!..

კიდევ ერთხელ — ყოჩაღ, პრემიერო!

**ნინო დაუშვილი**



# უცხოელებმა დაგვანამუსეს, სამშობლო უნდა გიყვარდეთო



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, საქართველომ აბრეშუმის გზის ფორუმს უმასპინძლა. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს ესმის ომის ფასი და მშვიდობის ფასეულობა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, ასევე, შუა დერეფნის განვითარების პერსპექტივა იყო. რა სარგებელს მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?**

— საქართველოში გამართული აბრეშუმის გზის ფორუმი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან შეიქმნა პლატფორმა, რასაც ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციებიც მიენიჭა. საქართველო რეგიონში მშვიდობის ცენტრი სახელმწიფო ხდება. ღარიბაშვილის მიერ აქცენტის გაკეთება მშვიდობაზე, სწორედ პოლიტიკური ფუნქციის წინ წამოწევაა. პედალირება მოხდა იმაზე, რომ ეკონომიკური ერთიანობაც პოლიტიკურ ფუნქციას ატარებს. 90-იანი წლების შემდგომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტმა, უპირველესად, პოლიტიკური ფუნქცია შეასრულა. ამით აზერბაიჯანი იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ჰეიდარ ალიევმა მაშინ აზერბაიჯანის წილზეც კი უარი თქვა, ოღონდ პოლიტიკური მხარე გამართული ყოფილიყო. დიახ, მან ეკონომიკურ დაინტერესებაზე უარი განაცხადა. ეს სულისკვეთება დღემდე გრძელდება. უბრალოდ დღეს ამას შეგვიძლია ვუწოდოთ — ეკონომიკა პოლიტიკის სამსახურში. საბჭოთა პოლიტეკონომიკისგან განსხვავებით, ახლა პოლიტიკა დამოუკიდებლობის დამყარების ინსტრუმენტია. ჩვენ და სხვა პატარა ქვეყნებს აბრეშუმის გზასთან მიმართებით, უპირველესად, პოლიტიკური სიმძლავრე გვსურს, ოღონდ ამისთვის დამოუკიდებლობის, თავისუფლების ციხესიმაგრის კედელს ისე ვაგებთ, რომ მის სიმაგრეს ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს. ეკონომიკისგან დაშორებული პროცესებიც მიდის, თუნდაც, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის, როგორც სამკუთხედის დაახლოება. ამაში სომხეთთან მიმართებით ეკონომიკური ხაზი არ იგულისხმება, მაგრამ პოლიტიკური — კი. აბრეშუმის გზის თემაც ამ მხრივ განვითარდება. მით უმეტეს, რომ მას ჰყავს თავისი ერთ-ერთი დიდი ფარი — ჩინეთი. პრაქტიკულად, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სინთეზს, აბრეშუმის გზის განვითარების პროცესში, სწორედ ჩინეთი უზრუნველყოფს. ამ სულისკვეთებას უერთდებიან პატარა ქვეყნებიც, რომლებიც საკუთარ დამოუკიდებლებაზე ფიქრობენ. აი, ამის განსახიერება იყო აბრეშუმის გზის ფორუმი. საქართველოსთვის ეს ფორუმი მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ ის გახლდათ ცენტრი, ამ პროცესის მასპინძელი. სტუმრების უპრეცედენტო სიუხვე იყო, რაც უპრეცედენტო ინტერესს ნიშნავს არამარტო აბრეშუმის გზის, არამედ საქართველოს მიმართაც. ამიტომ ქართველებისთვის ამ აბრეშუმის გზის ფორუმის გადაფასება, ძნელია.

რაც მთავარია, ფორუმზე სამშვიდობო ინიციატივების კუთხით პირველი ნაბიჯები გადაიდგა. კავკასიის სატრანზიტო ფუნქციის აღებაზე პრეტენზიის გაცხადება უმნიშვნელოვანესია. ფაქტობრივად, მთელი ევრაზიული მასშტაბის ტრანზიტმა — ერთ-ერთმა გზამ კავკასიაზე უნდა გაიაროს. ასეთი ფუნქციის შეძენის პირობებში ნებისმიერი გზა — გინდ ტყის ბილიკი იყოს, გინდ ქალაქის ქუჩა თუ ტრასა, ყველა უსაფრთხო უნდა იყოს. მით უმეტეს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის, მათ შორის, ეკონომიკური გზის შემთხვევაში, მშვიდობა აუცილებელი პირობაა.



**— ვიცე-პრემიერი ჩინეთში მნიშვნელოვან ფორუმს ესწრებოდა. თუმცა, ოპოზიციურმა არხებმა პუტინის იქ ყოფნაზე გაამახვილეს ყურადღება.**

— დავიწყოთ იმით, რომ ვიცე-პრემიერი პუტინის გვერდით იჯდა თუ მისი ორეულის, არავინ იცის. დავაკვირდეთ, ვის ინტერესშია ამაზე ყურადღების გამახვილება? ერთი მხრივ, ამით მოიგებს რუსეთი, რადგან, თუ ჩვენ ჩინეთთან ურთიერთობაზე უარს ვიტყვით, შესაბამისად, ეს სატრანზიტო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა რუსეთს გაეზრდება. სწორედ ამიტომ უნდა რუსეთს კავკასიური ხაზის „გაფუჭება". შესაძლოა, იგივე სურდეს ამერიკასაც. ამერიკისთვის ჩინეთი კონკურენტია. თუ კავკასიური შუა დერეფანი „გაფუჭდება", ჩინეთს რაღაც პერიოდი ევროპისკენ ტვირთების გადასროლა გაუძნელდება. ამ ფონზე ჩვენი ოპოზიცია ან რუსეთის ინტერესს იცავს, ან ამერიკისას, ან ორივესას ერთად. კონკრეტულ შემთხვევაში, მათი ინტერესები — საქართველოს აფეთქებით ჩინეთისთვის ზიანის მიყენება — ერთმანეთს ემთხვევა.

რად გვინდა ასეთი ოპოზიცია, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესს არ წარმოადგენს. რა საჭიროა ოპოზიცია, რომელიც სხვა ქვეყნების ინტერესით ხელმძღვანელობს და ქართულ პოლიტიკას სხვა ქვეყნების პოლიტიკიდან გამომდინარე აფასებს?! ასეთი ოპოზიციის ფუნქციონირება რამდენად საჭიროა, ეს 2024 წელს ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. მაგრამ დამაფიქრებელია ისიც, რომ ოპოზიციას ქვეყნის გარეთ მომხრეები ჰყავს. ოპოზიციისთვის ყოველთვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთს, ვიდრე საქართველოს.

სასურველია, უფრო საფუძვლიანად დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა მენტალიტეტის საზოგადოებას ვქმნით. ჩვენთანაც დღეს აზროვნების გარკვეული წესია მოდაში. ამას ძალიან ყურადღებით დავაკვირდეთ, რადგან საზოგადოების მენტალიტეტსაც მოვლა სჭირდება. ეს სახელმწიფოს ფუნქციაც არის და მოლაპარაკე თავებისაც. მეც მოლაპარაკე თავი ვარ და ვალდებული ვარ, თქვენთან ინტერვიუში აქცენტი ქვეყნისთვის მავნებელი პოზიციის დამკავებლებზე გავაკეთო. კერძოდ, შეიძლება საქართველო ძალიან გიყვარდეს, მაგრამ ვიღაცის ფეხის ხმაზე აყოლის გამო, ქვეყნისთვის ბევრი ცუდი რამ გააკეთო. ასეთი ტიპის ფეხის ხმას აყოლა ქართველებისთვის ტიპიურია. ამის შედეგი ვითომ რუსულ კანონთან მიმართებითაც ვნახეთ. არიქა, პარლამენტი რუსულ კანონს იღებსო და ლამის ქალაქი გადაწვეს. ამ დროს მათი სანაქებო უკრაინა იგივე კანონზე მუშაობას იწყებს. მეორე მხრივ, გეტყვით, კიდევ რაშია ფეხის ხმას აყოლილი ხალხის პრობლემა — ამ ხალხს ერთი პროგრამა კარნახობდა, რომ რუსული კანონი უნდა ჩაეგდოთ და ასეც მოიქცნენ. მეორე პროგრამა კი მათ კარნახობს, რომ მხარი ზელენსკის უნდა დაუჭირონ. ამ დროს ზელენსკის მთავრობა ანალოგიურ კანონს იღებს. ეს როგორ უნდა შეათავსონ ერთმანეთთან, ძალიან მაინტერესებს, მაგრამ დღევანდელი და გუშინდელი დღე მათთვის ლოგიკურ კავშირში არაა. საზოგადოებამ ოპოზიციასაც ლოგიკური ქმედება უნდა მოსთხოვოს. რაზეც ახლა ვსაუბრობ, ამის გაკეთებას სახელმწიფოს ვერ მოსთხოვ. ძლიერი საზოგადოებრივი აზრი უნდა შეიქმნას. ახლა მოდაშია იმის ძახილი: ხელისუფლებას რუსეთისკენ მივყავართო. ეს უარგუმენტო მოდაა. მხოლოდ იმიტომ ამბობენ, რუსეთსკენ მივდივართო, რომ ეს ზელენსკიმ და ნაცებმა თქვეს. რეალურად, არცერთი მათგანის ნათქვამი არგუმენტი არ არის. მოლდოვა დსთ-ის წევრია, მაგრამ მასზე არ ვამბობთ: რუსული გავლენის მატარებელი ქვეყანააო, სამაგიეროდ ამას საკუთარ ქვეყანაზე გავიძახით. ანუ, ანტიქართულად გვაპროგრამებენ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პროგრამებია შემოტანილი და ხალხიც ამას მიჰყვება, მათი ზომბირება ხდება. საზოგადოების ნაწილი დაზომბებულია. ასეთ დროს სასურველია, გაჩნდეს საწინააღმდეგო მოდა, რომელიც ქართველებს ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიციის დაკავებას აუკრძალავს. ქართველები საქართველოს წინააღმდეგ მუშაობენ. ქართული ოპოზიცია საზღვარგარეთ რომ დარბოდა, საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მისცეთო, უცხოელებმა მოსთხოვეს, თავი დაგვანებეთო. დიახ, **უცხოელებმა დაგვანამუსეს, თქვენი სამშობლო გიყვარდეთო**. ესაა ზომბირების პროდუქტი. ზომბს კრიტიკული აზროვნება არ აქვს — მას რასაც ჩასძახებენ, იმას აკეთებს. ეს ტრანსში მყოფი, გათიშული ცნობიერებაა. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ეს ადამიანები უნდა გეცოდებოდეს და არა გაღიზიანებდეს. მათ ლოგიკურ აზროვნებას ვერ მოსთხოვ, ეს გაუმართლებელია.

**— ბატონო რამაზ, სენატში საქართველოს საკითხი განიხილეს. შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ დასავლური სამყაროს ყურადღება იზრდება.**

— საინტერესო დამოკიდებულებაა, რა უნდა გააკეთოს საქართველომ — რუსეთის მიმართ პროტესტი გამოხატოს?! ვისი ზურგით უნდა დაუპირისპირდეს საქართველო რუსეთს?! სიტყვის მასალად გაიძახიან: საქართველო რუსეთისკენ მიდისო. მარტივი ლოგიკაა: საქართველოს მართლა რუსული ორიენტაცია რომ ჰქონდეს, ხომ ის უნდა გააკეთოს, რაც რუსეთს სურს?! რუსეთს ტრანზიტის ჩაშლა უნდა. რუსეთისთვის, ქართული ხელისუფლების მხრიდან პატივისცემა აქ მეორე ფრონტის გახსნა იქნებოდა. ამ დროს ჩვენი ხელისუფლება გამწარებული იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ აქ მეორე ფრონტი არ გაიხსნას. როგორ შეიძლება ეს ხელისუფლება პრორუსული იყოს, როცა იმას არ აკეთებს, რაც რუსეთს სურს! ამიტომ ამერიკელების მხრიდან ყალბი რიტორიკაა იგივე ქართველი მოსამართლეების დასანქცირება, რითაც ვითომ ჭკუას გვასწავლიან და ასე შემდეგ. რაც შეეხება შავი ზღვის მიმართ ამერიკის ინტერესს, მართლაც გაიზარდა, ეს დიდი ხნის მოვლენაა, მაგრამ ამერიკას ამ მიმართულებით არც არაფერი გაუკეთებია. გაგახსენებთ, ტრამპის პრეზიდენტობის დროს პომპეოს ვიზიტს, რომელმაც გვითხრა: ანაკლიის პორტი უაღრესად მნიშვნელოვანია და უნდა ააშენოთ, ოღონდ ჩინეთი არ მოუშვათო. თუ ასეთი პოზიცია გიკავია, მაშინ ეს პროექტი თავად დააფინანსე. მე რატომ უნდა ვეჭიდავო ჩინეთს, ამის რესურსი მაქვს?! სხვათა შორის, დეგნანი ელჩად სწორედ იმ პერიოდში დანიშნეს. ის არის ადამიანი, რომელიც საზღვაო პოლიტიკის საკითხებში კარგად ერკვევა. მაშინ დეგნანი ძალიან კორექტული ელჩი იყო. მოვიდა ბაიდენი და დეგნანიც შეიცვალა. იმ პერიოდიდან მოდის ეს თემა, რომ შავი ზღვა ამერიკისთვის საინტერესოა, რადგან მან დაინახა, რომ ყირიმის თემით რუსეთის მხრიდან შავ ზღვაზე კონტროლი კიდევ უფრო გაძლიერდა. სევასტოპოლის და ამ სტრუქტურების დასაბალანსებლად ამერიკას შავ ზღვაზე შემოსვლა უნდა, რაც სტრატეგიულად გასაგებია. მაგრამ საქართველოს რატომ სთხოვს, რომ ამერიკის ბალანსზე იზრუნოს?! ამერიკა ცდილობს, საკუთარი ამოცანები სხვისი ხელით გადაჭრას. ამ შემთხვევაში ამის გაკეთება ჩვენი ხელით სურს.

**— ერთ კვირაში საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭების საკითხი უნდა გადაწყდეს. რა მოლოდინი გაქვთ?**

— როცა ტრანზიტის თემა გამოიკვეთა, აშკარა გახდა, რომ ევროპას ვჭირდებით. კი ბატონო, დღეს შეიძლება ევროპას უფრო მეტად ვჭირდებით, ვიდრე ჩვენ გვჭირდება, მაგრამ თვითონ ევროპელებმა ამის შესახებ იციან?! ამის მიხვედრა, რომ საჭირო ვიქნებოდით, რთული არც იმ პერიოდში უნდა ყოფილიყო, როცა კანდიდატობაზე უარი გვითხრეს და მთელ ერს შეურაცხყოფა მოგვაყენეს. ამ საკითხზე ევროპამ ერთხელ უკვე ზურგი დაგვანახვა. თუ მაშინ ვერ მიხვდნენ, რომ საქართველო სჭირდებათ, შესაძლოა, ისრაელ-პალესტინის ომმა ამ საკითხში კორექტირება შეიტანოს. კერძოდ, ამერიკის ვექტორები შეიცვალოს და ამან სტატუსის მონიჭებაზე ზეგავლენა იქონიოს. დღეს საქართველოს ბედ-იღბალი დამოკიდებულია იმაზე, როგორი ურთიერთობა ჩამოუყალიბდებათ ერთმანეთთან ამერიკასა და ჩინეთს. რუსეთი საქართველოს რეალური ბედ-იღბალის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ფიგურა აღარ არის. ვიმეორებ, ისრაელი-პალესტინის ომმა ამერიკა ჩინეთის მიმართ შეიძლება უფრო კორექტული გახადოს. თუ მათ შორის ურთიერთობა შერბილდება, ეს სასიკეთოდ აისახება ჩვენს ქვეყანაზეც და კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზეც.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველომ კავკასიაში ლიდერი სახელმწიფოს ფუნქცია იტვირთა



*ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე, მოძრაობა „ხალხის ძალის" წევრი თამარ ჩიბურდანიძე:*

**- საერთაშორისო ფორუმ „აბრეშუმის გზას" საქართველო უკვე მეოთხედ მასპინძლობს. რა შესაძლებლობებს აძლევს ეს პროექტი საქართველოს და რით იყო წლევანდელი ფორუმი მნიშვნელოვანი?**

- „აბრეშუმის გზის" პროექტი, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო, არის ქვეყნის ურთიერთობების დიდი შესაძლებლობა და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლის სიკეთეებიც უშუალოდ შეეხება საქართველოს თითოეულ ოჯახს. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ბიუჯეტში შესული სოლიდური თანხით ყველა მიმართულებით გაიზრდება საქართველოს ბიუჯეტი და დაფინანსდება ნებისმიერი მიმართულება: განათლება, სოციალური დახმარებები, ჯანდაცვა, ეკონომიკა, საგრანტო პროექტები სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ. ა.ი, ამიტომაც შეეხება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

უმნიშვნელოვანესი იყო წლევანდელი ფორუმი იმითაც, რომ საქართველომ იტვირთა კავკასიაში ლიდერი სახელმწიფოს ფუნქცია. საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ეს ლიდერობა არ დაგვიკარგავს, რასაც ბოლო პერიოდში, საერთაშორისო პოლიტიკის თუ სხვა ჩანაფიქრის გამო, საფრთხე შეექმნა. უნდოდათ, რომ საქართველო „გაეწირათ", როგორც ლიდერი სახელმწიფო, თუმცა ჩვენ მოვახერხეთ და შევინარჩუნეთ ლიდერის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში. რაც უმნიშვნელოვანესია, საქართველო არის მედიატორი და არეგულირებს კონფლიქტურ სიტუაციას კავკასიაში - აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.

როდესაც მედიატორი ხარ, ეს უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ხარ უსაფრთხო ქვეყანა და ზრუნავ რეგიონში მშვიდობისათვის, რადგან, სადაც მშვიდობა არ არის, იქ არც ეკონომიკა ვითარდება, არც პოლიტიკა და არც კულტურა... ამით იყო წლევანდელი ფორუმი უმნიშვნელოვანესი.

**- საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ 12 პრიორიტეტით გათვალისწინებული რეფორმების შესასრულებლად საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა სათანადოდ დაფასდება... უახლოეს დღეებში ევროკავშირის წინასწარი დასკვნაც გამოქვეყნდება. რა მოლოდინი გაქვთ?**

- არაჩვეულებრივი პოზიცია აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს თავის ყველა გამოსვლაში, სადაც ის ძალიან მკაფიოდ და პირდაპირ ეუბნება მსოფლიოს, რომ ჩვენი ქვეყანა უსამართლოდ დაიჩაგრა და ეს იყო ეროვნული ღირსების საკითხი. საერთოდ არ გვჭირდება სტატუსი, როდესაც უღირსად გექცევიან და გჩაგრავენ. პრემიერის ბრიუსელში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მსოფლიოს ეკონომიკური კარიბჭის გასაღები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდაც, ფაქტობრივად, აქვს საქართველოს. ამიტომ, ყველაზე უვიცი პოლიტიკოსიც კი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ერთი კვირის თავზე ველით პოზიტიურ წინასწარდასკვნას, რადგან ევროპელი ლიდერები უკვე თავადაც არ უარყოფენ, რომ საქართველოს ნამდვილად ეკუთვნის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

**- როგორც აღმოჩნდა, აშშ-ის ახალ ელჩს საქართველოში, რობინ დანიგანს ადრეც ჰქონია კავშირი საქართველოსთან. რაღაც ახლებურად დაიწყო მუშაობა და იმედია, თავის წინამორბედს არ დაემსგავსება...**

- ახალი ელჩის საქმიანობის ასეთ დასაწყისს აქვს ორი მიზეზი. პირველი ის არის, რომ ქალბატონი რობინ დანიგანი არის პროფესიონალი დიპლომატი და ასეთივე პოლიტიკოსი. მის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, მას დიდი გამოცდილება და დიპლომატის აკადემიური განათლება აქვს პოლიტიკის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, პროფესიონალები არ უშვებენ ისეთ „მდაბიო" შეცდომებს, როგორიც დაუშვა კელი დეგნანმა. წინასწარ ვამბობ, რომ ახალმა ელჩმა, შესაძლოა, პოლიტიკა არ შეცვალოს, მარამ ისეთი არ იქნება, როგორიც იყო მისი წინამორბედი, ძალიან მეცვითებს და მცირე მოუთმენელია კელი იყო ძველი.

თუმცა, მხოლოდ ელჩზეც არ არის დამოკიდებული, რას იტყვის და რას მოიმოქმედებს ის, რადგან ელჩი ემსახურება საკუთარ ქვეყანას და ახორციელებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკას შენს ქვეყანაში. დეგნანს მოუწია იმ მძიმე პერიოდში მუშაობა, როდესაც საქართველოზე იყრიში ხორციელდებოდა დასავლეთის, ამერიკის თუ კონკრეტული ძალების მხრიდან, ომში ჩვენ ჩასართავად. თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ელჩი რა ინფორმაციას აწვდის თავისი ქვეყნის ხელისუფლებას. კელი დეგნანი ბოლო დროს აშკარად ოპოზიციის ლიდერი გახდა საქართველოში. ის იყო „მხარე" და საერთოდ გავიდა პოლიტიკური ჩარჩოებიდან.

ახალი ელჩი უკვე ახალი პოლიტიკით ჩამოვიდა, რადგან ამერიკა ცვლის საქართველოსთან დამოკიდებულებას. ეს შესამჩნევი გახდა ბევრი მიზეზის გამო.

რატომღაც ყველას მიავიწყდა უკრაინის ომი და ხმა აღარ ისმის უკრაინაში არსებულ ვითარებაზე. ვერ გაჰყავთ ფინალში პროცესები, შეუძლებელია ამ ომის უკრაინის გამარჯვებით დასრულება, რადგან, ფაქტობრივად, რუსეთმა ყველაფერი წაიღო, რაც უნდოდა. ახლა ჯერი იმაზეა, როგორ დასვან ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა რუსეთს ის დაუკანონონ, რისთვისაც მან ომი დაიწყო. ეს არის მწარე რეალობა.

გარდა ამისა, მძიმე სიტუაცია შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ვერც იქ აჩერებენ პროცესებს. აქედან გამომდინარე, უფრთხილდებიან საქართველოს, რომელმაც ჩხილებით შეინარჩუნა მშვიდობა და ცეცხლის ალში არ გახვია რეგიონი, ნამდვილად უჭირავს ხელში გეოპოლიტიკური კარიბჭის გასაღები. ეს სიფრთხილე შევნიშნეთ აშშ-ის ახალ პოლიტიკაში, რომელიც, შესაძლოა, რადიკალურად შეცვლილი არ არის საქართველოსთან მიმართებაში, თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი რამ ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

**- კონკრეტულად, რა შეიძლება შეიცვალოს?**

- აქამდე საქართველო მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთზე იყო დამოკიდებული, ჩრდილოეთთან, რომელიც ოკუპანტი სახელმწიფოა, ჩვენ არ ვთანამშრომლობთ. ოკუპანტთანაც თანამშრომლობენ ქვეყნები, ოღონდ ამას სხვაგვარი სტრატეგია სჭირდება. ჩვენ ეს საერთოდ არ გვიცდია, რადგან ალტერნატივა არ გაგვაჩნდა, ჩვენი განვითარების ვექტორი მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოები იყო და ისინიც მშვიდად იყვნენ. მივდიოდით მხოლოდ ამ მიმართულებით და ვიყავით მათი პოლიტიკის „ტყვეობაში".

როცა სხვა გზა არ გაქვს, ბუნებრივია, ყველა ცდილობს, საკუთარი ინტერესები მაქსიმალურად გაატაროს შენს ქვეყანაში და გაგაკეთებინოს ის, რაც მათ უნდათ. ახლა კი საქართველოს აღმოაჩნდა ეკონომიკური თანამშრომლობის და სტრატეგიული პარტნიორობის ალტერნატიული გზა, გაფორმდა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელშეკრულება, - უძლიერეს პოლიტიკურ პოლუსთან და სახელმწიფოსთან. ყველანი ვხედებით, რომ ეს ვერ მოხდებოდა რიგითი ადამიანების თანამშრომლობით, ეს მოხდა გონივრული პოლიტიკის შედეგად. დიდი პიროვნებების ჩარევის შედეგად, საქართველომ შეძლო ჩინეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რაც ევროკავშირის წევრმა დიდმა სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო სასიამოვნო ფაქტი დასავლეთისა და კონკრეტულად, ამერიკისთვის, რომელმაც ჯერ ვერ დაალაგა ჩინეთთან ურთიერთობები. ხან უნდათ ომი ტაივანთან, ხან ჩინეთთან ახალი ურთიერთობების დაწყებას ფიქრობენ და ასე შემდეგ. ჯერჯერობით თვად ამერიკაშიც არ იციან, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ელოდებიან, რა მოხდება ისრაელი-ღაზას სექტორში, როგორ დასრულდება ომი და მაქსიმალურად ცდილობენ, არ გასცდნენ საზღვრებს. ამაზეა დამოკიდებული, როგორ განვითარდება შემდგომში ამერიკა-ჩინეთის პოლიტიკური ურთიერთობები.

ჩვენ გვაქვს თანამშრომლობის ალტერნატივა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა ჩამოვეხსნათ დასავლეთს და მთლიანად აღმოსავლეთის ვექტორზე გადავიდეთ. ვითანამშრომლებს ყველა ვექტორთან, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ახლა უკვე ბევრად ძლიერი სახელმწიფოსა და ძლიერი ეკონომიკური კავშირის სახით ვიქნებით წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და აშშ-იც ფრთხილად არიან, არა იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალზე დარდობენ, მათ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისთვის სჭირდებათ საქართველო, როგორც პოლიტიკური პლაცდარმი.

**- რადიკალური ოპოზიციის სასოწარკვეთა ბრიუსელის პასუხის მოახლოებასთან ერთად იმატებს. ეს არის მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტა ზაუტის სამხედრო კოლეჯების სწორედ ახლა „დასმენა"?**

- მთელი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა კულუარული ინფორმაციები კონკრეტული გვარებით, რომ ეს ადამიანები იბრძოდნენ საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. ნამდვილ მეგობარ ევროპულ ქვეყნებშიც არაერთხელ მოუსმენიათ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ საქართველოს ოპოზიცია დაძვრებოდა მათთან კაბინეტებში და სთხოვდა, ქვეყნისთვის სტატუსი არ მიეცათ. ერთი მათგანი, ვინც ვიცით, სალომე სამადაშვილი იყო, მეორე - გიორგი ვაშაძე. ახლა კი ეს ევროპელი პოლიტიკოსები მხოლოდ კულუარებში აღარ საუბრობენ, გამოიტანეს ინფორმაცია და ღიად ალაპარაკდნენ ამაზე, რადგან თავადაც გაკვირვებული არიან ამ ადამიანების საქციელით. სავარაუდოდ, ამიტომაც გადაწყვიტა ზაუტმა სამხედრო, საზოგადოებისთვის ეთქვა, რომ ქვეყნის მოღალატე და „ჩამშვები" არ არის. დაასწრო სხვებს და გააკეთა განცხადება.

საგონებელში არიან, რომ არც ერთი რევოლუცია არ გამოუვიდათ. დღეს უკვე გავიგეთ, რომ ყირგიზეთსა და უკრაინაშიც იღებენ იმავე კანონს, რის გამოც მათ მარტში გადატრიალების მოწყობა უნდოდათ. აღმოჩნდა, რომ ჩვენ კი არ ვეოფილვართ ქვეყნის მოღალატეები და „რუსეთუმეები", - მოღალატეები ყოფილან ისინი, ვინც რუსთაველზე გამოვიდა, რევოლუციას გვიწყობდა და „გვაბულინგებდა".

ძალიან დიდი ტკივილის ფასად გადავიტანეთ ის დღეები ყველამ და მით უფრო ჩვენ, კანონის ინიციატორებმა. მიუჩვეველი ვარ და ვერ ავიტანე ასეთი ენითაუწერელი შეურაცხყოფა. ვერ გადმოგცემთ, რაც ჩვენ მარტში გადაგვხდა მხოლოდ პოლიტიკოსების კი არა, ეგრეთ წოდებული ელიტის მხრიდანაც. თვითონ პროფესორი ვარ და არ უნდა ვამბობდე, მაგრამ „განათლებულ" ადამიანებზე მქვს საუბარი, რომლებიც ერთხელ არ დაინტერესდნენ, კანონი წაეკითხათ. უბრალოდ, დეგნანმა დარეკა და გამოყარა ყველა რუსთაველზე...

რა იყო მასში ანტიევროპული ან რა იყო რუსული, როდესაც რუსეთმაც კი ამერიკიდან გადმოიღო ეს კანონი? ყველგან, ბრიტანეთში, კანადაში, ინდოეთში, იაპონიაში... თავიანთ ქვეყნებს მორგეს და ისე მიიღეს ეს ამერიკული „ფარა"! ხშირად, როდესაც ქვეყანაში უცხოური ფული შემოდის, მას მოჰყვება უცხო ქვეყნის ინტერესებიც, რაც შეიძლება შენი ქვეყნისთვის საზიანო იყოს. ფული არის ძალა, რომელსაც შეუძლია, მოგიწყოს რევოლუცია, ამბოხი და ომიც ქვეყანაში. ამიტომ იყო საჭირო ის კანონი. მისი მიღების აუცილებლობა დადგება საქართველოშიც, როდესაც კანდიდატის სტატუსს მივიღებთ და დარწმუნებული ვარ, ზუსტად ის ადამიანები მიითხოვენ მის შემოტანას, ვინც მაშინ რუსთაველზე იდგა და მოღალატეებს გვეძახდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ გარე ფაქტორების ზემოქმედების თუ შიდა მტრების განზრახვის მიუხედავად, საუკუნეების შემდეგ პირველად მივედით იმ წერტილამდე, როცა მოთხოვნებს ჩვენ ვაყენებთ. ოღონდ ეს დასაწყისია და ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი გაგრძელება ექნება. იზრდება მოთხოვნა საქართველოზე და, პარალელურად, იზრდება იმ პოლიტიკური გუნდის რეიტინგი, ვინც საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნისთვის პოზიტიური რეალობა შექმნა.



**ნონა ქარქაშაძე**

# ჭიდაობა მიდის იმაზე, ვინ იქნება „მიშა“



*გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:*

**— ბატონო პეტრე, სამნიძის განცხადებას ოპოზიციის ნაწილი ევროჩინოვნიკებთან დახურულ შეხვედრებზე კანდიდატის სტატუსის ჩაგდებას ითხოვსო, დიდი ხმაური მოჰყვა.**

— ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება. მნიშვნელოვანია, რომ სამნიძის განცხადება დეკანოიძემაც დაადასტურა: ევროპელ პარტნიორებს ოპოზიციის მხრიდან არაერთგვაროვანი ინფორმაცია მიეწოდებათ, მათი ნაწილი ამბობს, სანამ საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება, სტატუსი არ მოგვცეთო. ყურადღება შემდეგ გარემოებას მივაქციოთ: ოპოზიცია კონსტიტუციის წესით დანიშნულ კანონიერ არჩევნებს როდი გულისხმობს. სქემა ასეთია: თუ კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ, ოპოზიცია ამას ბერკეტად გამოიყენებს, რათა ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს, არეულობა მოაწყოს, პარლამენტში შევარდეს და შედეგად, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს. რატომ საუბრობენ ახლა ამ თემაზე სამნიძე და დეკანოიძე?! იმიტომ, რომ დიდი ალბათობით, საქართველოს სტატუსს მისცემენ. ოპოზიციის ქმედებების შესახებ ინფორმაცია მაინც გაჟონავდა, ამიტომ სამნიძეებმა ამ თემისგან დისტანცირება გადაწყვიტეს — ჩვენ კარგები ვართ, ეს ნაცები, „ლელო“ მოითხოვდნენ ევროპელებისგან სტატუსის ჩაგდებასო. ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში უცხოელებთან, ვინც ამ საკითხებზე მუშაობს, კონტაქტი მქონდა. ევროპარლამენტარების განწყობა ორად იყოფა. ერთნი ფიქრობენ, რომ სტატუსი ახლა კი არა, ექვსი თვის შემდეგ უნდა მოგვცენ, მეორენი კი ამბობენ: საქართველოს კანდიდატის სტატუსი მივანიჭოთ, ოღონდ გარკვეული დათქმებით, რომ 12-პუნქტიან დავალებას სრულად შეასრულებენო. მათ იციან, რომ უკრაინა და მოლდოვა ბევრი პარამეტრით საქართველოს ჯერ კიდევ შარშან ჩამორჩებოდნენ. ამიტომ, სტატუსს ახლაც თუ არ მოგვცემენ, იციან, რომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მკაცრი განცხადებები გაკეთდა იმის შესახებ, რომ სტატუსის არმოცემით ევროპამ შეცდომა დაუშვა, უსამართლობა ჩაიდინა. ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სტატუსს ვიმსახურებთ. ამიტომ, სტატუსის მონიჭების ალბათობა გაზრდილია. ასე რომ, ოპოზიციას ბოლო ბერკეტიც ხელიდან ეცლება. ისინი ამომრჩეველს ვერაფერს შესთავაზებენ ისეთს, რომ არჩევნების წესით გაიმარჯვონ. ოპოზიცია წინა არჩევნებზე პარლამენტში მოხვდა, რადგან მაშინ ბარიერი არ იყო. ბარიერი რომ ყოფილიყო, „ქართული ოცნებისა“ და ნაცების გარდა, პარლამენტში ვერავინ მოხვდებოდა. ამიტომ არის ასეთი დუღილი. ოპოზიცია ხსნის გზას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს.

**— სამნიძემ განაცხადა: გვარსახელები ვიცი, ვისაც კანდიდატის სტატუსის ჩაგდება უნდაო. ამ „აღიარებით“ სააკაშვილის პარტიის დაზარალება ხომ არ არის გეგმაში?**

— რიგმა ვაიპოლიტიკოსებმა დაინახეს, რომ ვერცერთ სიაში გამსვლელ ადგილს ვერ იკავებენ. როცა ხედავ, რომ პარლამენტს გარეთ რჩები, იწყებ საუბარს, როგორი კარგი ხარ და სხვები რა ცუდები არიან. გახსოვთ, სამადაშვილის განცხადება ღია ეთერში: ჩვენ უცხოელ პარტნიორებს ვეუბნებით, რომ საქართველოს სანქციები უნდა დაუწესონ, ისინი კი გვეკამათებიანო. ეს გაწბილებული ტონით თქვა. პარტნიორები ამ წინადადებას ასე პასუხობდნენ: ეს რომ გავაკეთოთ, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობისკენ ვუბიძგებთო. სამადაშვილის ვიზიტის მერე, ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში განცხადება გაკეთდა: საქართველოს სანქციები უნდა დაუწესდესო. ამ ქალბატონის საჯარო განცხადებებს საელჩოები თარგმნიან და თავიანთ დედაქალაქებში აგზავნიან. ასე რომ, იქ ეს განცხადებები ცნობილია. იგივე მეორდება, რაც შუა საუკუნეებში ხდებოდა: მოღალატეები აქედან გარბოდნენ და ოსმალებს, სპარსელებს რას აღარ ჰპირდებოდნენ, რომ ისინი მმართველებად დაესვათ.

**— ბატონო პეტრე, სააკაშვილის პარტია გაყოფისთვის ემზადება. ბაჩო დოლიძემ, ჩრდილოვანი მმართველობის პირობებში პარტიაში ველარ დავრჩებითო.**

— 2008 წლის თებერვლამდე მთავრობის კანცელარიის უფროსი ვიყავი, შემდეგ „ნაცმოძრაობის“ სიით პარლამენტში მოვხვდი, ამ პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ. აგვისტოში სააკაშვილმა სისხლიანი სამხედრო პოლიტიკური ავანტიურა განახორციელა. მე ოპოზიციაში გადავედი. მინდა გითხრათ, რომ დღიდან დაარსებისა, ეს პარტია სამ რამეზე იყო დაფუძნებული: **ტყუილზე, ძალადობასა და სიძულვილზე**. აი, რა დათესეს. „ნაცმოძრაობა“ **პოლიტიკური პარტია კი არა, მაფიოზური ტიპის წარმონაქმნია**. ხშირად გვესმოდა, როგორ უსწორდებოდნენ ფიზიკურად იმ პირებს, ვინც მათ არ ემორჩილებოდა. მათი „ბოევიკები“ სცემდნენ ადამიანებს, ვისი აზრიც არ მოსწონდათ. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ პარტიაში რამე ახალი ხდება, იგივე ტენდენციაა. მაგრამ სააკაშვილის პარტიის ყველაზე ძლიერი, რეალური დაშლა 2016 წლის არჩევნების შემდეგ მოხდა, როცა 28 ცნობადი სახიდან პარტია 22-მა დატოვა. იცით, რატომ ჩამოიპარა სააკაშვილი არაჟნებთან ერთად? — ერთ-ერთი ფაქტორი მელიას პოლიტიკური სპექტრიდან სრულად ამოშლა იყო. სააკაშვილი ხეზე ფეხებით რომ ჩამოეკიდათ და



ქვეშ ცეცხლი დაენთოთ, მისთვის ამ წამების ტოლფასი იყო, ნაცების „აჯანყება“ და მის ჯინაზე, მის საწინააღმდეგოდ მელიას პარტიის თავმჯდომარედ არჩევა. მიშა ხომ ამ პარტიას ერთპიროვნულად მართავდა. იტყოდა: ბუბა უნდა იყოს სიის პირველი ნომერიო და ასეც ხდებოდა. ასევე, მარიამ საჯაიას პარლამენტში შეყვანის გამო კონსტიტუციაში ცვლილებები შეატანინა. ნეტავ, მოგესმინათ, ნაცები რა სიტყვებით ამკობდნენ ამ ახალგაზრდა ქალსაც და მიშასაც. აი, ასეთი დამოკიდებულება იყო — პატივისცემა, ერთგულება, სიყვარული კი არა, ყველაფერს ძალადობა წყვეტდა. ვინც მას ემორჩილებოდა, რა დონის დანაშაულიც უნდა ჩაედინა, მას წილები ბიზნესში, მიწები, უძრავ-მოძრავი ქონება გარანტირებული ჰქონდა. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი ყველას სასტიკი ანგარიშსწორება, ციხის ჩათვლით, ელოდა. პირადად ვარ მოწმე, ადეიშვილი და მერაბიშვილი როგორ აკონტროლებდნენ მაჟორიტარებს, ყველა მათგანზე კომპრომატი ჰქონდათ. ასეთი განწყობა იყო ამ ბანდაში და არც ახლა შეცვლილა რამე. ნიკანორზე ტყუილად როდი თქვა ცოტა ხნის წინ სააკაშვილმა: მელია ბოკერიას ბედს გაიზიარებსო. მართლაც, ბოკერიამ ყველაზე ცნობადი სახეები კი წაიყვანა პარტიიდან, მაგრამ შედეგი რა იყო? 2020 წლის არჩევნებში მან შვიდი ადგილი მიიღო, სააკაშვილმა კი — ოცდათექვსმეტი (5-ჯერ მეტი, ვიდრე ბოკერიამ). მელია განზე რომ გადგეს, ბაჩო დოლიძის მერე დამისახელეთ მესამე, მეოთხე პირი, ვინც რაიმე ღირებულს წარმოადგენს.

ამჟამად, რეალურად პარტიას კეზერაშვილი და მერაბიშვილი მართავენ. მერაბიშვილს ისეთი კადრი სჭირდება, ვინც უსიტყვოდ დაემორჩილება. წინააღმდეგობის გაწევა გამორიცხულია. და ჰყავს კიდეც ხაბეს სახით ასეთი კაცი. მერაბიშვილს პარტიის წევრებთან სამხედრო-პოლიციური ურთიერთობა აქვს. სხვა არაფერი შეუძლია. **მერაბიშვილი არის ტერმინატორი — მიუშვი პოლიტიკაში და დაანგრევს, თუ რამე დასანგრევი დარჩა**. მასავით დესტრუქციული პრემიერ-მინისტრი, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ მაშინ სასტიკი ზიანი მიაყენა, სხვა ძნელად წარმოსადგენია. ვანო ხაბეს რასაც ეტყვის, იმას გააკეთებს. მაგრამ მიშა ხომ ხედავს, რომ ეს წამგებიანია. ამიტომ სააკაშვილი ასპარეზზე ახალი სახეების გამოყვანას ცდილობს. აგერ, გაააქტიურა სოფო ჯაფარიძე, ანი წითლიძე. მიშა მერაბიშვილს პირდაპირ არ უპირისპირდება, მაგრამ გახსოვთ, როგორ უარყოფით კონტექსტში ილაპარაკა 2007 წლის 7 ნოემბერის თემაზე: დანაშაული მერაბიშვილს გადააბრალა, მე არაფერი ვიცოდი, მეძინაო. სააკაშვილი თან უკრაინის მოქალაქეა, თან — პატიმარი. მოკლედ, კურიოზული ვითარებაა — იციან, რომ მიშას ამომრჩევლების გარდა, პარტიას სხვა ელექტორატი არ ჰყავს. სააკაშვილის ელექტორატი, რაც 12-13%-ს შეადგენდა, მისი ერთგული, თავგანწირული ხალხია. სწორედ მათი დახმარებით აიღო ოპოზიციის სამოცი ადგილიდან — 36 ადგილი, დანარჩენებმა, ყველამ ერთად კი — 24 ადგილი. ოპოზიციამ იცის, რომ მიშას ელექტორატისგან უნდა მოიპოვოს ხმები. სხვა შემთხვევაში ბარიერს ვერ გადალახავენ. აი, რაზე მიდის ჭიდაობა. გახსოვთ, „ნაცმოძრაობაში“ თავმჯდომარის არჩევნების დროს რას გაჰყვიროდა ხაბე? — შევვარდები კლინიკაში და მიშას იქედან ფიზიკურად დავიხსნიო. რატომ ყვიროდა ამ სიტყვებს? — რათა სააკაშვილის ელექტორატს დაენახა, რომ ახლა ხაბე არის მიშა, ისე, როგორც ერთ დროს ბუბა კიკაბიძე. ხმა ხომ სინამდვილეში მიშას მისცეს და არა ბუბას. იგივე მოხდა გრიგოლ ვაშაძის შემთხვევაშიც. ვაშაძის რეიტინგი ნული იყო, ხმას მიშას აძლევდნენ. დავით ბაქრაძეც ასე ლიდერობდა რეიტინგის სათავეში. ანუ, **ჭიდაობა მიდის იმაზე, ვინ იქნება „მიშა“**. „ნაცმოძრაობის“ სივრცეში კურიოზული, მარაზმატული, ღრმად პროვინციული ჭაობია გამეფებული.

**— ბატონო პეტრე, ამბობენ, არჩევნებში მონაწილეობას ზურაბიშვილიც აპირებს გახარიასთან და ლომჯარიასთან ერთადო.**

— არ ვიცი, მართლა გადადგამს თუ არა ზურაბიშვილი ამ ნაბიჯს, მაგრამ, როგორც პოლიტიკური დამოუკიდებელი აქტორი, იგი ნულოვანი შედეგისთვის არის განწირული. ასე იყო მაშინაც, როცა მიშამ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან მოხსნა. ზურაბიშვილმა სამ დღეში დიდი მიტინგი გამართა, აქციაზე ბევრი ხალხიც მივიდა იმ იმედით, რომ საპირწონე ძალა გამოჩნდა. ზურაბიშვილი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი იყო და არსებობდა მოლოდინი, მისი სახით ევროპული ძალა შექმნილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა, ხალხი მოტყუებული დარჩა. მერე საკნების აქციაში მონაწილეობდა და აქციებზე მღეროდა. უცხოელები გაოგნებული საუბრობდნენ მის არაადეკვატურ ქცევებზე. ასე რომ, ვისთან ერთადაც უნდა გაერთიანდეს, მათ შორის, გახარიასთან, ის ნულოვანი შედეგისთვის არის განწირული.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „აბრეშუმის გზის ფორუმის“ ჩატარებამ ქვეყნის ავტორიტეტი გაზარდა



*გვესაუბრება ეკონომისტი*
*სოსო არჩვაძე:*

**— ბატონო სოსო, საქართველომ აბრეშუმის გზის ორდღიან ეკონომიკურ ფორუმს უმასპინძლა. მნიშვნელოვანია, რომ ფორუმს ორი ათასი სტუმარი, სამოცი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა. რას იტყვით ფორუმის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე?**

— თავად ის ფაქტი, რომ აბრეშუმის გზის ფორუმის ორგანიზების ადგილი თბილისი იყო, ჩვენი ქვეყნის მიმართ გაზრდილ ავტორიტეტზე მიუთითებს. საერთაშორისო ცნობადობა მზარდია. საქართველოს განიხილავენ არამხოლოდ როგორც საინტერესო სატრანსპორტო საკომუნიკაციო დერეფანს, არამედ, როგორც სულ უფრო მზარდი აქტიურობის მქონე საერთაშორისო მოთამაშეს. ანუ, საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტად ჩვენი აღქმა ერთ-ერთი გამორჩეული შედეგია და ისევ და ისევ ქვეყნის ავტორიტეტის ზრდაზე მიანიშნებს. ეს ავტორიტეტი საკმაოდ ხანგრძლივი წარმატებული, ეფექტიანი საქმიანობის შედეგია, რაც ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდასა და, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ინსტიტუტების მდგრადობის, სტაბილურობის საერთაშორისო აღიარებაში გამოიხატება. მთელი რიგი საერთაშორისო კვლევების შესწავლის საფუძველზე, საქართველო მოწინავე პოზიციებს იკავებს როგორც რეგიონული მასშტაბით, ისე ევროკავშირის ბევრ ქვეყანასთან მიმართებითაც. ეს პარამეტრებია: სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა, ბიუჯეტის გამჭირვალობა, კორუფციის წინააღმდეგ მედეგობა და სხვა. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს საქართველოს მიმართ ინტერესის ზრდა. მოგვიანებით ამას სამხრეთ დერეფნისა და აბრეშუმის გზის ფაქტორებიც დაემატა. ბევრი ტვირთნაკადი, რომელიც ადრე დასავლეთისკენ რუსეთის გავლით მიემართებოდა, ახლა საქართველოზე გაივლის. ასე რომ, საქართველო წარმატებულია როგორც მზარდი ეკონომიკური პოტენციალისა და მყარი ინსტიტუტების მქონე სახელმწიფო, ასევე, როგორც შუამავალი, რეგიონში მშვიდობის დამყარების კუთხით შეტანილი წვლილისთვის. ფორუმში სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერების მონაწილეობა, სამხრეთ კავკასიის, როგორც ერთიანი სივრცის იდეის ფაქტობრივ დემონსტრირებას წარმოადგენდა. სიმბოლური იყო ის, რომ ბოლო ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად, სომხეთის უმაღლესი თანამდებობის პირმა ოფიციალურ შეხვედრაზე აზერბაიჯანელი კოლეგა აპლოდისმენტებით დააჯილდოვა მის მიერ გაჟღერებული — გზაჯვარედინის მშვიდობის პროექტის პოზიტიურად შეფასების გამო. ამ მხრივ სიმბოლურია ისიც, რომ აბრეშუმის გზის ფორუმის დასრულებიდან მეორე დღეს რიკოთზე 27 კმ-იანი გზის მონაკვეთი გაიხსნა, რაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მყარი კავშირების ტვირთგამტარიანობის ზრდის თვალსაზრისით, საქართველოს კიდევ უფრო ცნობად და მნიშვნელოვან რგოლად აქცევს. ეს გახლავთ პირველი შედეგები. რაც შეეხება უფრო მასშტაბურ პროექტებს, საქართველო აქტიურად არის ჩართული დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ენერგეტიკული პროექტების რეალიზაციაში; ასევე, გადაწყვეტილია საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტვირთუნარგამტარიანობის ორჯერ გაზრდა, საავტომობილო ტვირთბრუნვის მატება, ნავთობსადენებისა და გაზსადენების მეტი ტვირთის გატარება, ახალი მასშტაბებისა და დატვირთვის მიცემა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა და რიგი სხვა პროექტებისათვის. ეს ადასტურებს, რომ საქართველო ინტენსიურად, ამბიციურად არის ჩართული შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს.

შუა დერეფნის განვითარების პერსპექტივა ერთობ მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მეორე მხრივ, ხელისუფლების მიზანმიმართული, გაწონასწორებული პოლიტიკა სწორედ აღნიშნული მიზნების რეალიზაციას ემსახურება.

**— აბრეშუმის გზა რამდენად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანას, დამატებითი ინვესტიციების განხორციელების ერთგვარ ჰაბად იქცეს?**

— აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი, რაც ინვესტიციების ზრდის პოტენციალის ფორმირებაზე პოზიტიურად მოქმედებს. პირველი ის, რომ თავად საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დამაჯერებელი მაღალი ტემპებით ვითარდება, რაც მას არამარტო რეგიონული, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც გამოარჩევს. მეორე, საქართველო აქტიურად აყენებს საკითხს, სამშვიდობო ურთიერთობების ერთიანი სივრცის ჩამოყალიბებაზე, რაზეც მას სამხრეთკავკასიელი მეზობლებისგან — აზერბაიჯანისა და სომხეთისგან სრული მხარდაჭერა აქვს. სრულმასშტაბიანი პროექტების რეალიზაციაში მათი თანამონაწილეობა იმის საფუძველს ქმნის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოსთან მიმართებით უფრო თამამი, მძიმეწონიანი პროექტების რეალიზაციაზე იფიქრონ. შემთხვევითი არც ის არის, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიაში ხდება პოლიგონის პლატფორმა, სადაც შეიძლება საერთო ინტერესების რეალიზაციაზე, გრძელვადიანი გეგმების შემუშავებაზე გადაწყვეტილებების მიღება.

**— დარიბაშვილმა ფორუმზე აღნიშნა, რომ საქართველოში ენერგორესურსები ბოლომდე ათვისებული ჯერ კიდევ არ არის და ამიტომ მთავრობა ბიზნესკლიმატისა და ინვესტორებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე იზრუნებს.**

— საქართველოში ენერგორესურსების ათვისებას ორი ასპექტი აქვს: პირველი, მისი სხვადასხვა სახეობის წარმოება და შემდეგ ის, თუ რამდენად იზრდება ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნები აღნიშნულ რესურსზე. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივ აირს 8-დან 9-მილიარდ კუბ/მეტრამდე მოვიხმარდით, ახლა მოხმარება სამ მილიარდ კუბ/მეტრზე ნაკლებია. ანუ, შემცირდა მისი მოხმარება. ეკონომიკის მასშტაბები თუ გაიზრდება, გაცილებით მეტი ენერგორესურსის მოხმარება დაგვჭირდება. ამისთვის რა გაგვაჩნია? — ჰიდროენერგორესურსები, რომლის ექსპორტსაც ამჟამად ვახორციელებთ, ოღონდ არა იმიტომ, რომ ის ჭარბად გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკის მოთხოვნები შედარებით მწირია. ეკონომიკას თუ განვავითარებთ, გაცილებით მეტი რესურსები დაგვჭირდება. შარშან თითქმის ორი მილიარდი დოლარის ენერგორესურსების იმპორტი განვახორციელეთ: ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, ელექტროენერგია და ა.შ. ამიტომ ადგილობრივი წარმოების ზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა ხელთ არსებული სხვადასხვა რესურსი დავზოგოთ და უფრო ინტენსიურად, ეფექტიანად გამოვიყენოთ. ყველაზე მოჭარბებულად ჰიდროელექტრორესურსები გვაქვს, საცოდაობა იქნება, ამ პოტენციალს სრულად თუ არ გამოვიყენებთ.

**— ბატონო სოსო, ტურიზმის განვითარება ფორუმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. რა ვითარებაა ამ კუთხით?**

— ტურიზმს ეკონომიკის განვითარებაზე პირდაპირი და ირიბი ეფექტი აქვს. პირდაპირია, როცა ტურისტი საქართველოში ჩამოვა და გარკვეულ ხარჯებს გაიღებს. თუმცა ეს ხარჯები, გარკვეულწილად, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისთვის მულტიპლიკატორის როლს ასრულებს. ეს ნიშნავს, რომ განვითარდება წარმოება, მომსახურება, სატრანსპორტო კომუნიკაცია, მშენებლობა, კვების მრეწველობა და ასე შემდეგ. ანუ, ფაქტობრივად, ჯამში ტურიზმი გავლენას ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე ახდენს. ეს არის მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტის მარეგულირებელი საქმიანობა. აქ ორი მომენტია: მომსახურების იმპორტი, როცა ქართველები უცხოეთში მიდიან ტურისტებად და მომსახურების ექსპორტი, როცა ჩვენთან ჩამოდიან. მომსახურების ექსპორტის შემთხვევაში დადებითი სალდო გვაქვს — უცხოელი ტურისტები საქართველოში უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ჩვენი მოქალაქეები უცხოეთში. აღნიშნული სალდო წლების განმავლობაში დაახლოებით 70 მილიონი დოლარი იყო. ეს ხელს უწყობს საქართველოში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის დამატებით ზრდას, მთლიანობაში ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას. ამიტომ ეს სფერო საკმაოდ პერსპექტიულია. თუმცა ტურიზმს ერთი აქილევსის ქუსლი აქვს — მის განვითარებას სტაბილურობა, მშვიდობა სჭირდება. ამის არარსებობის შემთხვევაში, ტურიზმი დაბალ ნიშნულზე სწრაფად ეცემა. ამის მაგალითია ებრაელი ტურისტების მკვეთრი შემცირება შვიდ ოქტომბერს დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად. ამიტომ მშვიდობა წმინდა ეკონომიკური, პრაგმატული მიზნებისთვისაც გვჭირდება. მშვიდობის პირობებში ეკონომიკაზე სწრაფად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები იზრდება, რაც ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს კეთილდღეობის უფრო დამაჯერებელ ზრდას უზრუნველყოფს.

**— ფორუმზე ჩინეთსა და საქართველოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.**

— ჩინეთის ეკონომიკა საკმაოდ მზარდია. მისი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა სოლიდურია. ამიტომ ოცდაათდღიანი უვიზო სტუმრობა, საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის საშუალებაა. მათი ვიზიტები მიმართულია არამხოლოდ დედაქალაქში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კულტურის გაცნობისკენაც. გარკვეული ჯგუფები სტალინის სახლ-მუზეუმის ნახვითაც ინტერესდებიან, რაც დამატებითი ბონუსია იმ გაგებით, რომ ჩინელი ტურისტების ნაკადის მიზიდულობა კიდევ გაიზრდება.

**— საავიაციო ნაკადების ზრდის კუთხით რა ვითარება გვაქვს?**

— პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით, თითქმის 100%-იან ნიშნულზე ვართ. თუმცა, ამ მიმართულებით უფრო ინტენსიური წინსვლაა საჭირო, რადგან იზრდება საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები, მათი დაინტერესება უცხოეთში მგზავრობით, ტურიზმით. ასევე, იზრდება უცხოელი ტურისტების საქართველოსადმი ინტერესი. ამიტომ ყველაზე სწრაფი, უსაფრთხო ტრანსპორტი სწორედ თვითმფრინავია. ამიტომ ამ მიმართულებით მეტი უნდა ვიმუშაოთ, რათა საქართველოს ჰქონდეს მრავალპროფილიანი, მრავალვექტორული საავიაციო ნაკადები, როგორც უცხოეთიდან საქართველოში, ისე — პირიქით. მსხვილ ავიაგადამზიდებთან კავშირი მეტი მგზავრის მომსახურების საშუალებას მოგვცემს. ბიძგს ისიც გვაძლევს, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს. ეს დამატებითი მოტივაციაა.

**— დაბოლოს, როგორ შეაფასებთ მიმდინარე წლის ეკონომიკურ ვითარებას?**

— წელს, ალბათ, გარკვეული ფაქტორების გამო, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა არ გვექნება. მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა ნავთობის ფასები და იმავე რაოდენობის ნავთობპროდუქტების შესაძენად გაცილებით მეტი ხარჯის გაღება გვიწევს. მეორე მხრივ, მსოფლიო ბაზარზე ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის ფასები და მოთხოვნა შემცირდა. მაგალითად, სპილენძზე, აზოტოვან სასუქებზე და ასე შემდეგ. მხოლოდ წელს, შარშანდელთან შედარებით, პირველი ცხრა თვის განმავლობაში 600 მილიონი დოლარით ნაკლები ექსპორტი განხორციელდა, რაც ექსპორტ-იმპორტის სალდოს საკმაოდ ამძიმებს. ეკონომიკის ზრდაზე ნეგატიურად მოქმედებს ისიც, რომ ფულადი მასის ტრანზაქცია რუსეთიდან, რასაც გასულ წელს მასშტაბური ხასიათი ჰქონდა, წელს შემცირებულია. თუმცა, ყველა სახმელეთო მეზობელთან შედარებით, უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული, მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაგვაჩნია.



თამარ შველიძე
555 23 28 24

# „მატარებელი-2024“ მალე გამოვა დეპოდან

ზოგადად, როდესაც ფაუნაზეა საუბარი, რატომღაც, როგორც ბრძენი, წინა პლანზე გამოდის გველი. ნამდვილად ვერ განვავრცობ „გველის თემას“, ფორმატი არ მაძლევს საშუალებას, თუმცა, საქართველოს პოლიტიკურ უდაბნოს თუ გადავხედავთ, გველთა მრავალფეროვნებასა და მრავალზნეობაზე კი, უნდა თქვას კაცმა ერთი-ორი სიტყვა მაინც...

დიდი წარმოდგენა არ უნდა, მაგრამ მაინც — საქართველო დიდი და სახარბიელო სივრცეა მსოფლიოს ყველა ძლიერი სახელმწიფოსთვის, რაგინდ შორს იყოს და არანაირი სასაზღვრო შეხება არ გვქონდეს. შესაბამისად, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამ საქართველოში ვიღაც „ჭკვიანმა“, მისთვის სასარგებლო გველკუების გამოყვანა გადაწყვიტა. ნეტავ, რომელ ბრიყვს ჰგონია, რომ თანამედროვე გველკუა ამფიბია უნდა იყოს?

ღმერთმა დამიფაროს ვინმეს გარეგნობის განკითხვისგან, მაგრამ რაც აშკარაა, მხოლოდ მე ვატყობ? — ხან დედმაშიშვილები მგონია და ხან სერიულად გამოშვებულები —...ფაქტობრივად, ერთსა და იმავეს ვამბობ ერთსა და იმავე ჰიბრიდებზე...

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის გამტარებელი პირი იმავე ქვეყნის სახეა, გნებავთ, სამთავრობო ხაზი იყოს, გნებავთ — ოპოზიციური. ვისაც ვუყურებ — სირცხვილია!

იქნებ, ამდენი არც მეთქვა, მაგრამ ვატყობ, ჩასაძირად განწირული ხომალდიდან კისრისტეხით გარბიან ვირთხები!..

ერთგვარად მეუხერხულება ჩამოთვლა, თქვენ თავად იგულისხმეთ — მათ რომ პოლიტიკოსების სტატუსს მიანიჭებ და ჩვენთვის, საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის პოლიტიკოსს დაარქმევ, იქ საქართველო ხარ თუ აღარ ხარ, საკითხავი ხდება.. რა მნიშვნელობა აქვს, რატომ და რანაირად მოიტანა დროებამ, ფაქტი — ფაქტია!

„ფაუნა“ შემთხვევით არ მიხსენებია!

ვუყურებ დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების ე.წ. რადიკალურ და არარადიკალურ ოპოზიციას და ცნობილი ქართული მულტიპლიკაციური ფილმისა არ იყოს, „სულ ვირთხები და ვირთხები“ მელანდება!

მხოლოდ ვირთხა რომ იყოს სასასაუბრო თუ საძებარი, რა უჭირს, პოლიტიკურმა (არა მხოლოდ) სიბინძურემ ტარაკნების გაჩენაც იცის!

ვუყურებ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ უდაბნოს და ე,წ. რადიკალებისა თუU არარადიკალური ოპოზიციის შემხედვარეს, მხოლოდ „ვირთხები“ და „ტარაკნები“ მელანდება. უკაცრავად, თქვენ სხვა რამეს ხედავთ?

ღვთისგან გაჩენილი გველკუებისადმი მორიდება და იდუმალი ტრფობა მაქვს, ერთგვარად პატივს ვცემ, ამდენად, მოკლედ განვმარტავ, რომ ტერარიუმი სივრცეა, სადაც ინახავენ წყალხმელეთა ცხოველებსა და ქვეწარმავლებს მათზე დაკვირვების საწარმოებლად ან სხვა მიზნით — ღმერთო, გამანდე დიდი საიდუმლო, საქართველო ტერარიუმია?

სხვაგვარად როგორ ვიკითხო, როდესაც უცხო ქვეყნის აგენტებს შუბლზე აწერიათ დანომრილი ვირთხობა, ხოლო ტარაკნებს — მიშამადიდებლობა?

ვირთხაც არის და ვირთხაც!

დაგვიდგა თორიას კასრი ვიღაც მადლიანმა და ძალიან გონიერმა კაცმა, გველისმჭამელმა („გველისმჭამელი“ — წიგნის წაკითხვა სავალდებულოა!) შუაგულ კავკასიაში, კონკრეტულად, საქართველოში, თბილისში. ვხედავთ, აღვიქვამთ, მაგრამ არ ვაღიარებთ „იმ კაცს“, ვიღაც პუტინს დავდევთ მსოფლიო კონტექსტიდან აბსოლუტურად ამოვარდნილები — მეცინებაღა, „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“ კი არა და, პუტინი რა შუაშია?

ჰო, ზის ის საბრალო პუტინი სადღაც, ბაიკალ-ამურის ტერიტორიაზე ბუნკერში, ცახცახებს და მისი ექვსი ორეული 52 ქვეყნის ვირთხის ჟლეტით ერთობა? — რა ვიცი,... რეალობიდან გამომდინარე, უხერხულია ამის შემდგომი განხილვა...

სიტყვა ერთგვარად გამიგრძელდა, არადა ორ ძვირფას ქალბატონზე მქონდა მცირედი კომენტარის გამოთქმის სურვილი. ქართველებმა ვიცით: „მულო, შენ გეუბნები, რძალო — შენ გაიგონეო“.

დიდი სიმპათია მაქვს-მეთქი, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ბოლო დროისათვის ერთგვარად მესიმპათიურებიან ქალბატონები: ხათუნა სამნიძე — მკივან-მაგინებელი და ხატია დეკანოიძე-სახელგატეხილი (გნებავთ, საქართველოში, გნებავთ — უკრაინაში).

განა რა არის გასაოცარი, როდესაც ადამიანი შეწუხდება საკუთარი უგვანობით და მოძღვარს მიაკითხავს, მაგრამ ამათი მოძღვარი სად არის, რწმენის რომელ აბსტრაქციაში, ვერ დავადგინე!

ვიყავით არაგველურ სიტუაციაში — არ გვყავდა არანაირი პარტია. ერთი სასიკვდილე „საბჭოთა კავშირი“ იყო და ყველამ ვიცოდით, რომ სულს ღაფავდა. აი, იმ სასიკვდილე დროს „ლოალურად“ არსებობდა „რესპუბლიკური პარტია“! საბჭოთა უშიშროებამ სწორედ რომ „ლოალურად“ დაუშვა ამ პარტიის არსებობა — მხოლოდ მე მეჩვენება, რომ ეს ამბავი ერთგვარად საინტერესოა?

**ჩემი პირადი ნაფიქრი საკითხავად რომ დამღლელი არ იყოს, მცირედით გადავუხვევ — მეუღლე მეზღვაური მყავდა (კაპიტნის მეორე თანაშემწე შორეულ ნაოსნობაში) და მას ვკითხე: ვახო, მართლა ასეა, ვირთხები წინასწარ გრძნობენ უბედურებას და გემიდან გარბიან?...მიპასუხა: თუ ჯანმრთელია, გარბის! ვერ გავიგე-მეთქი? რა ვერ გაიგე? ჯანმრთელი — ჯანმრთელია, იცის, რომ შეძლებს! ნახევრად ჯანმრთელმა იცის, რომ ვერ გაუძლებს იმას, რაც ელოდება — ვირთხები გენიოსები არიან!**

დედას ვფიცავარ, დავასკვენი, რომ „რესპუბლიკელები“ პოლიტიკური ვირთხები არიან, მაგრამ პატივსაცემები რატომ არიან, ქალბატონი ხათუნა სამნიძის ამასწინდელ გამოიხდომა-აღიარებამდე ვერ მივხვდი!

საწყალ ლევან ბერძენიშვილს „რესპუბლიკური პარტიიდან“, 3%-იან ჩამშვებს უწოდებდნენ, ეს ქალბატონი რამდენპროცენტიანია, ნეტავ?

ქალბატონი ხათუნა და მასზე მიდევნებული ბევრი „ხათუნები“ ის ჩვეულებრივი ჯანმრთელი ვირთხები არიან, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ ხომალდი კი იძირება, მაგრამ ჯანი მოსდევთ, რომ ის წინააღმდეგობები გადალახონ, რაც მეორე ხომალდზე აძვრომამდე წინ დახვდებათ.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ქალბატონი ხათუნ(ებ)ა ის თვითმყოფადი განყენებული ძალაა, რომელსაც იმის თქმის რამენაირი ძალა შესწევს, რაც თქვა? „ატამანს აუხირდა ეგორი?“

დიდი ხნის განმავლობაში სულ მაინტერესებდა და ხელსაყრელ შემთხვევას არ ვუშვებდი ხელიდან, მეკითხა, რანაირად არის ეს საქმე „გამოწყობილი“, როდესაც ხელისუფლებასაც და ე.წ. ოპოზიციასაც ერთი მისწრაფება აქვთ (ვგულისხმობ ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას), მაგრამ გადაულახავი „პოლარიზაცია“ აქვთ-მეთქი. შავ მასალაზე თეთრი ძაფით ამოგვირისტებული იყო (არის) ის არაადეკვატური მოცემულობა, რისი გამოსწორებაც არ უნდა „მქარგავს“. გასაგები არაფერია, გაგებული გვაქვს, რომ მღვრიე წყალში თევზი ადვილი დასაჭერია, უბრალოდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მაქსიმალურად აწმინდავებს ამღვრეულს... ვიღაც პირფერობაში ჩამითვლის, მაგრამ პირუთვნელი ადამიანები დამიდასტურებენ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სწორედ რომ სამართებლის პირზე გვატარებს ისე, რომ მცირედადაც კი არ დავზიანდეთ... ამას თუ ვერ დაინახავ, უბრალოდ, უმადური ხარ!

ევროკავშირი! ესენი, „ძალიან ევროპელები“, აი, ისინი „შიგ ევროპაში, სახლში რომ მიდიან“, იმ „სახლში“ რატომ დარბიან და ვირთხობენ, არ მისცეთ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიო?

მართალია, დღემდე ვერ ჩამომიყალიბა ვერავინ ორ პუნქტად, რა სარგებელი ექნება საქართველოს ამ კავშირის წევრობიდან და რა ზარალი, მაგრამ რასაც ორივე დაპირისპირებული მხარე ესწრაფვის, ქალბატონი ხათუნა სამნიძე რატომ ადებს ხელს ე.წ. ოპოზიციას, რომ ამ ერთობლივი მიზნის მიღწევაში „ვიღაც-ვიღაცები“ დიდ გარჯაში არიან საქართველოს წინააღმდეგ?

ერთგვარად გამეცინა, როდესაც საქართველოს მავნებლებად დასახელდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ერთიანი კი არა, ერთმანეთს ხელისცეცებით ეძებენ მზის შუქზე), „ლელო“ და განყენებულად ნიკა გვარამია.




დანარჩენები სად არიან, „ქართული ოცნების“ მზეს იფიცებენ? „ბოდიშა თვალპაჭუნასა“ და მისთანების გამოტოვება შეიძლებოდა?!

მიყვარს ოფიციალურიად გამოთქმული ფრაზები „მმართველი პარტია დიდი ხნის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ ლობირებდა“, — ჩემო კარგო მმართველო პარტიავ, რანაირად ამტკიცებდი? კრებსითმა ხათუნა სამნიძეებმა დადეს აღიარებითი ჩვენება, თორემ ჯერ კიდევ შუა მტკიცებაში იქნებოდი... იმის იქით წავიდოდი, აკაკი ბობოხიძიდან მოვყვები, მაგრამ ვიღას ახსოვს მუშტი-კრივა ოქლაქი და, თანაც, უბრალოდ, უხერხულია...

ვირთხა რომ პატივსაცემი „გენია“ არ იყოს, ფილმი „ფანტომი ოპერაში“ მრავალი ინტერპრეტაციიით არ გამოვიდოდა...

განა რამეა, ისედაც ვიცოდით, ვინ სად დადიოდა და რატომ, მაგრამ ქალბატონმა ხათუნამ და ქალბატონმა ხატია დეკანოიძემ მოიშვლიპეს მანტია და ტიპიური ვირთხები ახალი სტილით გამოჩნდნენ.

„ვირთხა“ სულაც არ არის შეურაცხმყოფელი სიტყვა! ბატონმა რეზო მიშველაძემ ჩემს ჯგუფელს უთხრა, ახლა შევამჩნიე, ჩოჩორის თვალები გაქვსო. მოკვდა გოგო ტირილით. გურჯაანელი იყო, თორემ რა აატირებდა, კაცმა კომპლიმენტი უთხრა. ასეა „ჩემი ვირთხის“ ამბავიც...

ელემენტარულია, 2024 წლის არჩევნები ახლოვდება და ძირგამძვრალი გემი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რა სახარბიელოა? სხვათა შორის, როდესაც პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე იყო საუბარი და ვინმე შარლ მიშელზე იყო ჩამოკიდებული ყველა, მაშინაც ქალბატონმა ხათუნამ თქვა „ქუჩაში ქვეყნის ბედი არ წყდებაო“, რატომ დავიკარგოთ? მერე რა, რომ ქვეყნის მტარვალები ისე მიიშალ-მოიშალნენ, ირანული ჯილა ყაისნაღიდან ერთ თვალსაც ვერ ამოიყვან...

ესენი ჯანდაბას — ის „გირჩი“ მთლად გამოგირჩდა, თუ რა დაემართა, რა „გენდერი“ აუტყდა ყოველივე უგვანოს მოტრფიალე ე.წ. პარტიას, ქალბატონი ხათუნას მატარებელს ებმება ლიანდაგების გამწმენდად?

ერთი აზრი მინდა ჩამოვაყალიბო, მაგრამ თუ კამერების თანხლებით „გირჩი“ პლანს არ დამითესავს რედაქციის წინ ან რედაქციაში, ხოლო „რესპუბლიკელები“ „სემ სოროკს არ მიცეკვებენ“ (ეკა კვესიტაძის პლაგიატი გავხდი) — არაფერი გამოვა!

ერთი მარტივი შეკითხვა მაქვს, მაგრამ ვინ მიპასუხებს? — არავინ! როდესაც ეს ერთიანი ჯაზბანდა იმ „შიგ ევროპაში“ მიდიოდნენ, სხვადასხვა კაბინეტებში შედიოდნენ თუ როგორ იყო? და თუ ერთმანეთის ნაუბარი ესმოდათ, მაშინ სად იყვნენ და ახლა რა წყალმა ამოუსხათ ერთობაში?

როგორც საქმის ვითარება გვიჩვენებს, „მატარებელი-2024“ მალე გამოვა დეპოდან და ყველა უსაქმური, ბილეთიანი და უბილეთო ცდილობს, შეახტეს. დოკუმენტური კადრები მაქვს ნანახი, ზოგი ინდოეთში არსებულ ვითარებას გადმოგვცემს და ზოგი — პაკისტანისას. ზუსტად ის კადრები მიდგება თვალწინ, როდესაც წარმოვიდგენ, ვინ როგორ ჩამოეკონწიალება ჩვენს საარჩევნო მატარებელს. მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს, კუზანოვის კლინიკა ვერ უშველით და რა სახის პლასტიკურ ოპერაციას გაიკეთებენ და სად, რომ „ნაცები“ და მისთანები ველარავინ იცნოს?

აშშ-ის ახალი ელჩი, რაგინდ „მარსკაია პეხოტის უსტაბაში“ იყოს, ჯერ საქართველოს „გაგნებაში“ არ არის და სანამ მსოფლიოს ენების ჩიქორთულ ნაზავზე ეს ჩვენის პრეზიდენტი რამეს გააგებინებს, ის ნაცგემიც ჩაილურის წყალს დალევს და პლასტიკურნატანჯი „ლამაზმანიც“ ზედ მიჰყვება.

მე მიქვამს და თქვენ — დაიხსომეთ!

**ნინო დაუშვილი**



# მაიკლ ჯონსონი – ჯოს ახალი თავსატეხი

დღევანდელი ვითარება საგიჟეთს გვაგონებს, როდესაც პაციენტებმა ხელთ იგდეს დენთით სავსე კასრი, ზედ ჩამოსხდნენ და ანთებული ასანთით დაიწყეს თამაში. სამწუხაროდ, ასე იქცევა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პოლიტიკოსი. უფრო მეტიც, დენთით სავსე კასრის სიახლოვეს უკვე ანთია კოცონი — სამი კვირაა, ახლო აღმოსავლეთში ომი მძვინვარებს, რომლის შეჩერებას ზოგიერთი ქვეყნის მმართველები ეწინააღმდეგებიან.

სახმელეთო ოპერაციების დაწყებას ღაზას სექტორში ისრაელის ხელისუფლება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ აანონსებდა. იქაური მიმომხილველები იუწყებოდნენ, რომ არმია მზად არის ღაზაში შეჭრისთვის, საზღვრებთან თავმოყრილია ტანკები და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკა, მაგრამ ვაშინგტონიდან ელოდებიან შეტევაზე გადასვლის სიგნალსო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს ისრაელის ხელისუფლებას. თუმცა, ღაზას სექტორზე შეტევებს განაგრძობდნენ ავიაციით, არტილერიით და რაკეტებით. ძირითადად, სამოქალაქო ობიექტები იბომბებოდა. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლმა უკვე 8 ათასს გადააჭარბა, აქედან ნახევარი ბავშვები და ქალებია. ისრაელის არმიის შეტევებს 30 ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტი ემსხვერპლა.

არავინ უარყოფს, რომ 7 ოქტომბერს განხორციელებული შეტევით „ჰამასმა“, შეიძლება ითქვას, ისრაელის მოქალაქეების მიმართ საშინელი დანაშაული ჩაიდინა. ამაზე მეტყველებს ფაქტები — ბევრი მიცვალებული ჯერაც ამოუცნობია, ვერ ხერხდება მათი დაკრძალვაც. გარდაცვლილთა იდენტიფიკაციაზე მომუშავე ისრაელელ ექსპერტ-კრიმინალისტებს თავად დასჭირდათ ფსიქოლოგების დახმარება, იმდენად დამახინჯებული ცხედრების ამოცნობაზე უხდებოდათ მუშაობა.

თუმცა, არც ისრაელის არმიის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამართლება შეიძლება. ღაზას სექტორში უმძიმესი ჰუმანიტარული ვითარებაა. მოსახლეობის უმრავლესობა ქუჩაში ცხოვრობს, დანგრეულია საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, არ მიეწოდებათ ელექტროენერგია, არ აქვთ საკვები, წამლები. წყალს მოსახლეობა ყოდულობს, რომელიც დასალევად გამოუსადეგარია. ავადმყოფების ექიმები პირდაპირ ქუჩაში მკურნალობენ. სექტორში ინფექციური დაავადებების გავრცელების დიდი საფრთხეა. ღაზაში უსაფრთხო ადგილი, ფაქტობრივად, აღარსად არის. სამწუხაროდ, იბომბება დევნილთა ბანაკებიც. ვიმეორებთ, რაც „ჰამასმა“ ჩაიდინა, ტერორიზმი და სამხედრო დანაშაულია, მაგრამ ერთი ორგანიზაციის ქმედებებისთვის მოსახლეობის კოლექტიური დასჯაც დანაშაულია.

საშინელი სანახავია, როგორ აწერენ პალესტინელი დედები შვილებს ხელებზე, ტანზე მათ სახელებს, რათა დაღუპვის შემთხვევაში მათი ამოცნობა შეძლონ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც ადასტურებენ ღაზას სექტორში არსებულ ჰუმანიტარულ კრიზისს და მხარეებს ვითარების განმუხტვისკენ მოუწოდებენ.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავლის ძებნა კვლავ გრძელდება. გასულ კვირას გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკების გაგრძელებაზე დეკლარაციის მიღება ვერ შეძლეს. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერიეშმა გაიხსენა ისრაელ-პალესტინის ათწლეულების წინათ დაწყებული კონფლიქტის ისტორია, მკაცრად დაგმო „ჰამასის“ მოქმედებაც. ორი დღის შემდეგ არაბული ქვეყნების მოთხოვნით გაიმართა გაეროს საგანგებო სესია, სადაც შეძლეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დეკლარაციის მიღება. გუტიერეშის თქმით, მსოფლიო დღეს უფსკრულის პირას იმყოფება.

გაეროს რეზოლუცია არ მოეწონათ ისრაელში. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელი კოენმა გუტერიეში პალესტინელების მხარდაჭერაში დაადანაშაულა, მისი გადადგომა მოითხოვა და მასთან შეხვედრაზეც უარი განაცხადა.

საგანგებო სესიის დამთავრებიდან რამდენიმე საათში ისრაელმა ღაზას სექტორში დიდი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. არმიამ შეტევები მიიტანა ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან. ვითარება რეგიონში კიდევ უფრო გამწვავდა.

საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მოსახლეობას მიმართა. მისი განცხადებით, ქვეყანას ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია არ დაუწყია, ეს მხოლოდ „ჰამასთან“ ბრძოლის მეორე ეტაპიაო. „...ჩვენ გავანადგურებთ ტერორისტებს, სადაც უნდა იყვნენ, თუნდაც მიწისქვეშ“, — თქვა ნეთანიაჰუმ. მას მხედველობაში ჰქონდა ღაზაში არსებული მიწისქვეშა გვირაბები და ინფრასტრუქტურა. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, „ჰამასის“ მებრძოლებს საკმაოდ კარგად ჰქონიათ მოწყობილი მიწისქვეშა ქალაქი, აქვთ ჰოსპიტალი და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, გამოცემის ცნობით, შესაძლოა, მიწისქვეშეთს 40 ათასზე მეტი მებრძოლი აფარებდეს თავს. „...ჩვენმა არმიამ გადალახა ღაზას საზღვარი ბოროტების ბუნაგის გასანადგურებლად. ჩვენ ვებრძვით „ჰამასს“ და არა პალესტინელ ხალხს“, — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის ფართომასშტაბიანმა შეტევამ მსოფლიოში უკმაყოფილება გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყნებში პალესტინელების მხარდასაჭერად და რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით სპონტანური დემონსტრაციები გაიმართა. ირანის პრეზიდენტმა იბრაჰიმ რაისმა განაცხადა: „...ისრაელმა გადალახა ყველა არსებული წითელი ხაზი... ყველას აქვს უფლება, მიიღოს საპასუხო ზომები“. ამის გარდა, ირანმა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვთნები დაიწყო. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა მოუწოდა ქვეყნებს, არ დაუშვან მეორე ფრონტის გახსნა რეგიონში და კვლავ დაემუქრა ირანს: „...ირანთან ომს ჩვენ არ ვესწრაფვით, მაგრამ თუ ომში ჩაერევა, სათანადო ზომებს მივიღებთ“.

განსაკუთრებით საგულისხმო თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის პოზიცია იყო. ისრაელის მიერ ღაზაზე ახალი შეტევის შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე, მან საკუთარ მოსახლეობას მოუწოდა, პალესტინელების მხარდასაჭერ აქციაზე შეკრებილიყვნენ. სხვადასხვა რეგიონიდან სტამბოლში ხალხი ჩაიყვანეს. პრესისი ინფორმაციით, მიტინგზე 1,5 მლნ ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეებმა სტამბოლში ისრაელის საკონსულოზე მიიტანეს შეტევა, რომელიც პოლიციამ გაჭირვებით, მაგრამ აღკვეთა. ისრაელმა საკუთარი დიპლომატები თურქეთიდან გაიყვანა, ახლა ფიქრობენ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაზე.

სტამბოლში გამართული აქცია თურქეთის რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავის აღნიშვნას დაემთხვა. თურქეთისგან ამ ნაბიჯს მსოფლიოში არავინ ელოდა. ერდოღანი ღიად და მკაცრად აკრიტიკებს დასავლეთს კონფლიქტის პროვოცირებაში. „...კიდევ რამდენი ბავშვი უნდა დაიღუპოს პალესტინაში, რომ ევროკავშირმა რეგიონში ცეცხლის შეწყვეტაზე იზრუნოს“, — განაცხადა მან და ისრაელი სამხედრო დამნაშავედ და ტერორისტულ ქვეყნად მოიხსენია. როგორ გაგრძელდება ურთიერთობა ნატო-სა და თურქეთს შორის, ძნელია თქმა.

ანალიტიკოსების შეფასებით, არაბული სამყარო ისრაელის წინააღმდეგ ისეა გაერთიანებული, როგორც არასოდეს. ისინი ადრე თავშეკავებულად, დიპლომატიურად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას, ახლა მკვეთრ გამონათქვამებს უკვე აღარ ერიდებიან. ლიბანის შეიარაღებული დაჯგუფება „ჰეზბოლას“ განცხადებით, თუ კვლავ გაგრძელდება ღაზაზე შეტევები, ისინი ღიად ჩაერევიან კონფლიქტში.



მართალია, ბლინკენმა მოუწოდა ქვეყნებს, არ დაუშვან მეორე ფრონტის გახსნა, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, ხმელთაშუა ზღვისკენ კიდევ ერთი ავიამზიდი მიემართება. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, რეგიონში დამატებით გადაისროლეს 4 ათასი სამხედრო მოსამსახურე.

ვითარება რეგიონში ფეთქებადსასიშია. აშშ-ის სამხედრო ფლოტის გარდა, ხმელთაშუა ზღვაში, ნეიტრალურ წყლებში ჩინეთის გემებიც იმყოფება. ექსპერტები შიშობენ, თუნდაც გაუფრთხილებლობით არ მოხდეს ორი დიდი ქვეყნის ფლოტებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება.

გასულ კვირას აშშ-ში იმყოფებოდა ჩინეთის მაღალჩინოსანი ვან ი, რომელიც საგარეო პოლიტიკას კურირებს. იგი ენტონი ბლინკენის გარდა, ჯო ბაიდენსაც შეხვდა. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, სტუმარმასპინძლებს შორის საკმაოდ მწვავე დიალოგი შედგა. რაიმე შეთანხმებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

არც ევროკავშირშია საერთო აზრი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონმა განაცხადა: „...საერთაშორისო სამხედრო ძალებს, რომლებიც განთავსებულია სირიაში, ერაყში ისევე წარმატებით შეუძლიათ „ჰამასთან“ ბრძოლა, როგორც „იგილთან“, ოღონდ ომის წესების დაცვით“. ევროკავშირის ხელმძღვანელებიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით: „..ღაზაში ისრაელის მოქმედება დემოკრატიის გამოვლინებაა“. მისმა სიტყვებმა აღაშფოთა შარლ მიშელი.

მოწინააღმდეგეები ნეთანიაჰუს საკუთარ ქვეყანაშიც გამოუჩნდა. მოსახლეობის ნაწილი აქციებზე მთავრობის გადადგომას ითხოვს. განსაკუთრებით შეშფოთებული „ჰამასის“ მძევლების ახლობლები არიან. ისინი შიშობენ, რომ სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებით, მძევლების სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. ამიტომ ითხოვენ „ჰამასთან“ მოლაპარაკების გამართვას და ზავის დადებას, თუნდაც დროებით. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, აშშ ისრაელიდან 700 ათასი საკუთარი მოქალაქის ევაკუირებას გეგმავს, რაც რეგიონში სიტუაციის მოსალოდნელ გამძაფრებაზე მეტყველებს. პოლიტოლოგები შიშობენ, ისრაელ-პალესტინის შეიარაღებული დაპირისპირება რეგიონის ფარგლებს არ გასცდეს და თანამედროვე „ჯვაროსნულ ომში“ არ გადაიზარდოს, რისი წინაპირობაც უკვე აშკარად იკვეთება.

აშშ-ში კონგრესის სპიკერად პირველივე კენჭისყრისას რესპუბლიკური პარტიის წევრი მაიკ ჯონსონი აირჩიეს. იგი დონალდ ტრამპის ერთგული მხარდამჭერია, რაც ჯო ბაიდენისთვის კიდევ ერთი თავსატეხი გახდება. რას უშველის კონგრესის ახალი სპიკერის არჩევა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომს, ძნელი სათქმელია. ამასობაში კი იქ ბრძოლები გრძელდება, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მომაკვდინებელი პანდემია



ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი

პანდემია რაც არის, ყველამ იცის, ალბათ, რადგან კორონავირუსმა შიშის ზარი დასცა ხალხებსა და მთავრობებს სულ ახლო წარსულში და რუსეთს რომ სამხედრო სპეცოპერაცია არ დაეწყო უკრაინაში, რომლის დასაცავად უყოყმანოდ დადგნენ ფეხზე აშშ-ისა და ნატო-ს ქვეყნების მთავრობები, ის ოხერი „კორონა" (იგივე კოვიდ-19) მთელ მსოფლიოს ჯოჯოხეთში გაისტუმრებდა. მოხდა საოცრება: დაიწყო რუსეთისა და აშშ-ნატო-ს ქვეყნების ომი და „კორონა" მოუსავლეთში გადაიხვეწა.

რა კაი ყოფილა მსოფლიო მასშტაბის ომი, მისი პანდემიასაც კი ეშინია თურმე!

რად გინდა მერე, რა! ერთი პანდემია კი გადაშენდა, მაგრამ მეორე მოედო ევროპასა და ევროპის მოწადინე ქვეყნებს, მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოსაც. ეს ბევრად უფრო ვერაგი და სახიფათო ვირუსით არის გამოწვეული. უბედურება კი უფრო ის არის, ამის საწინააღმდეგო არც ვაქცინა და არც რაიმე სამკურნალო საშუალება არსებობს.

ამ დაავადების სიმპტომები სრულიად აშკარაა და რაიმე ლაბორატორიულ კვლევას არ საჭიროებს. ეს სიმპტომები, ძირითადად, ვლინდება ცნობიერების დაბინდვით, ლოგიკური აზროვნების მოშლით, ილუზიების მოძალებით, მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვით და, საერთოდ, სრული გამოშტერებით.

რა ვირუსია ასეთი, - იკითხავს შეშფოთებული მკითხველი და ამ შეშფოთებას სრულიად რეალური საფუძველი აქვს. ეს ჩანს იმითაც, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ ცნობიერება დაბინდული, მეხსიერება დაქვეითებული და, საერთოდ, სავსებით გამოშტერებული ადამიანები. ესენი, ძირითადად, ის ხალხია, რომლებიც პოლიტიკით, საექსპერტო საქმიანობით არის დაკავებულები, ან „ენჯეოებში" ანუ ასო-ებში (არასამთავრობო ორგანიზაციებში) არიან გაერთიანებული თუ თავმოყრილები. სამწუხაროდ, მათ გვერდით დგას საზოგადოების სრულიად გაუნათლებელი ნაწილი, რომელიც „ცოდნას" მხოლოდ ისეთი ტელეარხებიდან იძენს, როგორებიცაა „მთავარი", „პირველები" და „ფორმულა". ამ „საგანმანათლებლო" საქმეშია ჩართული „საზოგადოებრივი მაუწყებელი".

ახლა იმ შეშფოთებულ მკითხველს უნდა ვუპასუხო: ეს არის რუსოფობიის მფრინავი ვირუსი, რომელიც ყველას როდი შეეყრება. რუსოფობიით დასნებოვნდება მხოლოდ ის, ვისაც დაბადებიდანვე ლოგიკური აზროვნების დეფიციტი აქვს და, ამასთან, ელემენტარული ცოდნა არ გააჩნია არც თავისი და არც მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და, საერთოდ, უჭირს დამოუკიდებელი აზროვნება.

რუსოფობიით დაავადების სავალალო შედეგები იმდენად აშკარაა, თანაც საერთაშორისო მასშტაბით, რომ ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, რომ დროა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს. ა, ბატონო, სრულიად ცინცხალი მაგალითი: ევროკავშირის საპარლამენტო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ, თუ პუტინს მესამე ვადით აირჩევენ რუსეთის ამომრჩევლები, იგი არალეგიტიმურ პრეზიდენტად გამოაცხადონ. ამასთან დაკავშირებით ერთი ხალხური იუმორისტული ლექსის სტრიქონები მახსენდება: „სამი კაცი დუქანს არი, ილო, მიხო, ლუარსაბი, ილომ მიხოს ქალი სთხოვა, ლუარსაბი უარს არი". როგორია, ჰა? ილომ მიხოს ქალიშვილს ხელი სთხოვა, მაგრამ ლუარსაბი უარს არი! ვისი კიტრია ეს ლუარსაბი, უარს რომ არი, ვინ ეკითხება, ნეტავი, აზრს? ჰოდა, ასეა ევროკავშირის საპარლამენტო საბჭოს საქმეც.

ასეა ეს, მაგრამ მე იმდენად ის კი არ მაწუხებს, ევროპა რომ დაავადდა რუსოფობიით, არამედ ის, რომ ჩემს თანამემამულეთა ერთი ნაწილი ამ დაავადების გამო ისე გამოთაყვანდა, ისიც კი აღარ იცის, „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო" (დავით გურამიშვილი).

ა, მაგალითად, ამხელა გუბაზ სანიკიძე რაზე სწუხს და ვის და რას შენატრის, იცით? შეხედეთ რა ქნა აზერბაიჯანელმა, როგორ ვაჟკაცურად დაიბრუნა სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიებიო. ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება და რამ დაგვაგლახა ასეო!

ა, ხომ გითხარით, რუსოფობიის ვირუსი ცნობიერებას უბნელებს დაავადებულს და ლოგიკური აზროვნების ატროფიას კი არ იწვევს მხოლოდ, ელემენტარულ ცოდნასა და ორიენტაციის უნარს ართმევს ამ უბედურებს. გუბაზს დიდი ცოდნა არასოდეს ეტყობოდა, მაგრამ დაავადებამდე, ალბათ, იცოდა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა 11 მილიონია, ყარაბახის ოკუპანტისა კი - 3 მილიონი, ხოლო ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები უნდა წაართვა, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოა. აი, ეს განსხვავება ვერ დაინახა ამ საცოდავმა პარლამენტარმა. ავადმყოფობის (რუსოფობიის) ბრალია ეს, თორემ, მართლა სულელად კი არ დაბადებულა ეგ კაცი. სულელადაც რომ დაბადებულიყო, ლევან სანიკიძის ოჯახში გაზრდილს ის მაინც ეცოდინებოდა, რომ ლომი ტურაზე ძლიერია.

მხოლოდ ერთი გუბაზა რომ იყოს რუსოფობიის ვირუსით გამოშტერებული ჩვენს პარლამენტში, იქნებ, პატრონიც გამოსჩენოდა და ემკურნალათ, მაგრამ თითქმის მთელი ოპოზიცია, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ, ისეთ აგონიაშია, რომ ქართველი თუ ხარ, გული დაგეწვება.

გახსოვთ ალბათ, ენჯეოებისა (ანუ ასო-ების) და ოპოზიციური პარტიების (ფაქტობრივად, იგივე ასო-ების) დაფინანსების გამჭვირვალობის კანონს რომ იღებდნენ პარლამენტში, ამ კანონის მოწინააღმდეგე ოპოზიცია რას გაჰყვიროდა ერთ ხმაში: რუსებო! რუსებო! რუსებოო!.. ანუ, ამ ავადმყოფებს „რუსებო" სალანძღავი სიტყვა ჰგონიათ.

ნებისმიერი ფობია საშინელი სენია. მან თუ ეპიდემიის სახე მიიღო, შეიძლება ერისა თუ ქვეყნის არსებობაც საფრთხის წინაშე დააყენოს. ამის მაგალითები კაცობრიობის ისტორიამ ბევრი იცის. წარსულში რომ არ ვეძებოთ საამისო ისტორიები, აგერ, მეოცე საუკუნეშიც გვაქვს ჭკუის სასწავლი გაკვეთილი...



რამ დაღუპა ერთ დროს ჭკუით გაპენტილი გერმანია, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეს თავისი გონიერებისა და კულტურის ბეჭედი დაასვა. მერე, რა? მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში, რამდენიმე ებრაელოფობიით დაავადებულმა ვაიპოლიტიკოსმა ამ სენის ვირუსი გაავრცელა გერმანელ ერში, რასაც სლავოფობიაც დაუმატეს და ...

რაც დაემართა გერმანიას, ყველამ იცის: ჯერ თავის ბუნაგში გაანადგურეს ფაშიზმი, რომელიც ფობიაა და არა პოლიტიკური იდეოლოგია, მერე ოთხ ნაწილად დაშალეს და ათეული წლების განმავლობაში ბოდიშს უხდიდნენ მსოფლიოს ჰიტლერთა ბოროტმოქმედებების გამო: მერე ის იყო, რომ გერმანელთა გონიერებამ და შრომისმოყვარეობამ ფენიქსისებრ აღადგინა გერმანული სახელმწიფო, მაგრამ, რად გინდა, რა... ახლა რუსოფობია შეეყარა ინგლისელებთან ერთად და იმ დონემდე გამოთაყვანდა ორივე, რომ ერთს პედერასტი პრეზიდენტი ჰყავს, მეორე ქვეყანას კი ... ინგლისში ინგლისელი ვერ მოიძებნა პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება რომ შეძლებოდა და ყოფილი კოლონიის წარმომადგენელი დანიშნეს ამ უდიდესი კოლონიზატორისა და მსოფლიო იმპერიის პრემიერის პოსტზე ჩერჩილისა და ტეტჩერის ქვეყანაში, ხოლო რა მოუვა ხვალ, ეგ მხოლოდ უფალმა იცის.

ვინც მსოფლიო პოლიტიკას თვალს ადევნებს, ყველამ იცის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც რუსოფობიური დაავადების ეპიდემიაა მოდებული, ხელისუფლებების სრული ინტელექტუალური დეგრადაციაა. ეს ძნელი შესამჩნევი კი არ არის, თვით ამ ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკურ პოსტებზე მყოფთა საჯარო განცხადებებშიც ჩანს. ზოგმა ის არ იცის, ევროპის რომელ ქვეყანას შეიძლება მიადგეს მისი სამხედრო ფლოტი, ზოგი ავსტრიასა და ავსტრალიას ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან, ზოგმა კი ის არ იცის, წრეხაზის სიგრძე რამდენ გრადუსიანია, რაც ნებისმიერი ნორმალური სკოლის მეექვსეკლასელმა ოროსანმაც იცის.

ასე იცის ამ საშინელმა ავადმყოფობამ, რომლის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მხოლოდ ცოდნაა, რომლის ათვისება დაავადებულ ადამიანს აღარ ძალუძს, მაგრამ თუ ქვეყანას, სახელმწიფოს, ერს გადარჩენა უნდა, მოზარდ თაობას უნდა მისცეს სათანადო ცოდნა ისტორიის, გეოგრაფიისა და ფსიქოლოგიის დარგებში, რათა ისინი დაცულნი იყვნენ ცოდნის იმუნიტეტით, რაც ნებისმიერი ფობიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა.

ამიტომ ყველა იმ ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, სადაც რუსო თუ სხვა ფობიების ეპიდემია აშკარაა, დაუყოვნებლივ გარდაქმნან განათლების სისტემები, დაუყოვნებლივ აღადგინონ აღზრდის სისტემა, რაც იმ საკაცობრიო ფასეულობებს დაეფუძნება, რაც დამახასიათებელი იყო დემოკრატიული სამყაროსათვის.

იტყვით, ალბათ, სხვებს რას დაეძებენ, ჩვენ ჩვენს პრობლემებზე ვიფიქროთო. კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ სხვათაგან იზოლირებული ვერ ვიქნებით. ჩვენ გვერდით რომელიმე ფობიური ქვეყანა თუ იქნება, ეს ჩვენზე გავლენას არ მოახდენს, მით უფრო, თუ იმ მეზობლის დიასპორა ჩვენშიც არის? მოახდენს და მეტიც!

როგორი შეგნებით ზრდის ქართული სკოლა მოსწავლეებს?

მტერი არ გვიზამდა იმას, რაც უცხოელმა მრჩეველებმა და ჩვენივე ჯიშის „პატრიოტებმა" გვიქნეს.

კოლექტიური დასავლეთი და აშშ მიხვდება, ალბათ, თავიანთ საბედისწერო შეცდომას, ან ვერ მიხვდება ... მე ჩვენი მომავალი მაფიქრებს. არ მინდა, ის აზრი, რომელიც ერთ საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამშია, მაინცდამაინც მხოლოდ ჩვენ გვეხებოდეს: რას მერჩის ის კაცი, მე ხომ მისთვის კარგი არაფერი გამიკეთებიაო. ამგვარმა შეგნებამ ბევრი სახელმწიფო დაღუპა წარსულში და ბევრსაც დაღუპავს ახლაც და მომავალშიც, ვიდრე კაცობრიობა არ მიხვდება, რომ უმადურობა დიდი ცოდვაა და მკაცრად ისჯება უფლის სამართალით! ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება!



# მეოთხე ტანკისტი და მსოფლიო სასიძო

ახლახან ხმა გავრცელდა, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა 45-ე კონგრესმა, უკრაინული მხარის მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე, რეზოლუციიდან ამოიღოო.

სიმართლე გითხრათ, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეა თუ ჭორი, არ დავინტერესებულვარ, რადგან ია ფარულავასა და ნანუკა ჟორჟოლიანის ჭუკჭუკმა გადამრთო თავისკენ. ია იგონებდა, ლოს-ანჟელესიდან მიშამ ჩამომიყვანა, ქალო, საქმროს აართვა ჩემი თავი, ია ცოლად მიმყავსო და მეც მეტი რა მინდოდაო? მერე რა მოხდა, მიშამ როგორ და რატომ „გადააგდო", აღარ არის საინტერესო, ია პირველი გადაგდებულია თუ ბოლო? თანაც, იას სიმღერა არ გამიგია არც მეგრულად, არც იტალიურად ან ინგლისურად, არც უკრაინულად, სომხურადაც კი, და დარჩა ასე, უსტატუსოდ... რა უნიჭო ყოფილა ია, „ახ, სირუნ, სირუნის" მღერაზე ადვილი რა არის?

ბიჯოო, ეს ჩვენის „კამო" რა ხვადაგი კაცია! უკვე ეჭვი გამიჩნდა, ყველა მიშამადიდებელი იასავით გაბრიყვებული ხომ არ არის, ნეტავ, აბა, რამ გააფრენინათ დორბლიან პათოლოგზე ასე ერთობლივად? ამდენი ქალი, ამდენი მიტოვებული, ამდენი ბავშვი... ჭორაობა მეზარება, თორემ ხვადაგი ქინძისგან მიქინძულ სამ-ოთხ ქალს მეც გავიხსენებდი და კიდევ ძმაკაცისა თუ ახლო ნათესავების ცოლებსაც...

მიშას სიყვარულებზე კლარნეტისტი თუ საქსოფონისტი ლიზა იასკო გამახსენდა, მის გახსენებაზე კი — უკრაინა!

მახსოვს, არსენ ავაქოვს შენიშვნა მისცეს, შენ შურაცხყოფა მიაყენე საჯაროდ, წყლიანი ჭიქა როგორ ესროლე გუბერნატორ სააკაშვილსო?! ავაქოვმა შეიცხადა, როგორ გეკადრებათ, შეურცხყოფა არც მიფიქრია, მხოლოდ ქინძი მოვრწყე საჯაროდო...

ისე, ქინძს უნდა ხოლმე მორწყვა, ხშირადაც კი, უფრო უკეთაც კი, რათა დაეტყოს, რა ქინძიცაა.

შავი ღრუბლები შეიკრა უკრაინის პოლიტიკურ ცაზე ოდესის გუბერნატორის თავზე მეხის დასაცემად, მით უფრო, რომ თავისი უაზრო ლაყლაყით საკუთარი პერსონის წინააღმდეგ მიდიოდა ყოველი პირის გაღებაზე და ამოაყოფინეს კიდეც თავი ჯერ არაჟნის კონტეინერში, შემდეგ გლდანში და კვლავაც გლდანი ეზომება.

როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ვფიქრობდი, რა მოუშორებელი და, რაც მთავარია, მაოხრებელი გახდა ეს ერთი „ცენტრი-კაცი", გვარ-სახელით მიხეილ (მიშა) სააკაშვილი-მეთქი და ისეთი უცნაური დამთხვევები ამოაგდო მეხსიერებამ, ხალისი შემოიტანა ჩემს ფიქრებში და ხუმრობის გუნებაზე დამაყენა.

არ მახსოვს, ვისი ნათქვამია: „არ არსებობს „შემთხვევით" და „დაემთხვა", არსებობს ღმერთის სურვილი, რომ დარჩეს ინკოგნიტოდ".

კარგად გვახსოვს, რომ მიხეილ სააკაშვილს, თვითონ, თუ ვინმეს ზეგავლენით ან რჩევით, სიმბოლოებით უყვარდა საუბარი. ამდენად, ერთგვარ სიმბოლურ წინასწარმეტყველებად შეუძლია მიიღოს ის, რაც კინოფილმებმა შემოინახეს და, ერთგვარად, ქრონოლოგიურად სახალისოდ აეწყო.

1966 წელს, პოლონეთში ტელეეკრანებზე გამოჩნდა სამამულო იმის თემაზე გადაღებული სერიალი (მე შავ-თეთრი გამოსახულებით მაქვს ნანახი) „ოთხი ტანკისტი და ძაღლი" (რეჟისორები: ანჯეი ჩეკალსკი და კონრად ნალეცკი. საბჭოთა კავშირში ფილმი 1968 წელს გავიდა ტელეეკრანზე). ფილმის მთავარი ოთხეულიდან ერთი, მძღოლი-მექანიკოსის გრიგოლ სააკაშვილის პერსონაჟი იყო, კავკასიური ტემპერამენტის მქონე ერთადერთი ტანკისტი, რომელიც პოლონელი არ იყო და დაიღალა იმის ახსნით, სად მდებარეობდა საქართველო.

მხოლოდ ერთი წუთით, ფიგურალურად და სიმბოლურად წარმოვიდგინოთ, რომ ეს ის სააკაშვილია, რომელიც თავდაპირველად გამოჩნდა და წარმოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ არენაზე. ახალაღმოცენებული ახალგაზრდა სააკაშვილი ისევე უყვარდა ხალხს, როგორც ტანკისტი სააკაშვილი — მაყურებელს;

როგორც ტანკისტი სააკაშვილი ირჯებოდა საქართველოს წარმოსაჩენად და გასაცნობად პოლონეთში, ისე ირჯებოდა პოლიტიკოსი სააკაშვილი არა მხოლოდ პოლონეთში და კაჩინსკისთან, არამედ მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ტანკისტი სააკაშვილის ტემპერამენტს, პოლიტიკოს სააკაშვილთან შედარებაც კი უხერხულია, თუმცა ტანკისტის დახასიათების ერთ-ერთი მთავარი შტრიხი სწორედ მისი ტემპერამენტია...

1979 წელს ეკრანებზე გამოვიდა ნანა მჭედლიძის კომედიური ჟანრის მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები", ანუ ტანკისტი სააკაშვილის საბჭოთა ეკრანებზე გამოჩენიდან 10-11 წლის შემდეგ. შედარებაში რომ გადავიყვანოთ, პოლიტიკოსმა სააკაშვილმა უკვე რომ გამოაჩინა საკუთარი რეალური სახე და ნანა მჭედლიძის ფილმში, დაფაზე ჩნდება სიმბოლური წარწერა-ნახატი, რაც მის მიმართ ხალხის დამოკიდებულებას გამოხატავს.

1984 წელს თენგიზ აბულაძემ გადაიღო ფილმი-ტრილოგია „მონანიება", რომელიც ეკრანებზე გამოსვლამდე ვიდეოკასეტებით ვრცელდებოდა და აღნიშნული ფილმის ნამალავად ყურების გამო არაერთ ადამიანს შეექმნა პრობლემა საბჭოთა უშიშროებასთან (პირადად მე და ჩემი ახლობლები ღმერთის სურვილით ვართ გარჩენილები...).



ვისაც „მონანიების" თავდაპირველი ვერსია აქვს ნანახი, აუცილებლად ემახსოვრება ერთი მომენტი — როდესაც დატუსაღებულთან ამანათის გადასაცემად მიდის პატიმრის გულშემატკივარი ქალი, ის ასახელებს პატიმრის გვარ-სახელს — მიხეილ სააკაშვილი! შემდეგ, რატომღაც, ფილმიდან ეს ვარიანტი გააქრეს, თუმცა, ძველი ვარიანტი მაინც არის შემორჩენილი აქა-იქ.

ვინ ჩაერია ფილმის ამ უმცირესი მონაკვეთის „აორთქლებაში", რატომ და რა წინმსწრები მიზნით, ეს მხოლოდ იმდროინდელი უშიშროების ერთ კონკრეტულ პირს, ან ვიწრო წრეს ეცოდინება, მაგრამ ფაქტი ფაქტია (თემურ ალასანია რა შუაშია, სულაც არ მიხსენებია!)!

პოლიტიკოს მიხეილ სააკაშვილის რეალურ „ვარიანტშიც" ასე „უცნაურად" არის ჩარეული საბჭოთა უშიშროება და არა მხოლოდ;

რეალურ „ვარიანტშიც" ასე „უცნაურად" აქრობენ მისი დანაშაულებრივი საქმიანობების გამოაშკარავების ყველა მცდელობას;

რეალურ „ვარიანტშიც" ასე იცავს საბჭოთა უშიშროების სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის „უცნობი ფრთა", როცა ძალიან გაუჭირდება...

მოკლედ რომ ვთქვათ, გვარი და სახელი „მიშა სააკაშვილი" ცალ-ცალკე და ერთად, შემონახულია სოციალისტური ქვეყნების კინომატოგრაფიაში და საოცარი სიზუსტით ასახავს საქართველოს ერთ-ერთი პრეზიდენტის, საქართველოში სისხლიანი რეჟიმის განმახორციელებელი, სისხლის სამართლის უამრავ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის, სიაფანდი პოლიტიკოსის მიხეილ სააკაშვილის წარსულსა და ეჭვშეუვალად დადასტურებულ მომავალს.

ფილმები წინასწარმეტყველურად თვითონ დალაგდნენ ქრონოლოგიურად — ხალხისთვის საყვარელი სააკაშვილი (ტანკისტი; პოლიტიკოსი); „მიშა ყ*ე" დაფაზე და „მიშა, მკვლელო!" (სიმბოლური ნახატი-გამოსახულება და პოლიტიკოსი მიშა), „პატიმარი მიხეილ სააკაშვილი" ფილმში და სისხლის სამართლის არაერთ დანაშაულში ეჭვმიტანილი...

რაგინდ ხელი აფაროს ვიღაცამ (ვიღაცებმა) ვითომ პოლიტიკოს მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და ფილმივით, დასასჯელ დამნაშავეთა ნუსხიდან ამოიღოს მისი გვარ-სახელი, როგორც ფილმის პირველი ვარიანტი არ არის გამქრალი და დაკარგული, ისე არ დაიკარგება ის საქმეც, რომელსაც ლოგიკური დასასრული ექნება — პატიმარი მიხეილ სააკაშვილი!

ადამიანს, რომელსაც სჯერა სიმბოლოების, ერთგვარად კი უნდა შეძრწუნდეს, როდესაც მისი არაფრით გამორჩეული გვარ-სახელი (ერთად და ცალ-ცალკე) რატომღაც, აუხსნელი დამთხვევით ასე საოცრად ლაგდება წინსწრებით, თითქოს პლანეტებმა თავიანთი კოსმიური კანონზომიერების შესაბამისად დაალაგეს...

მიშა-უკვდავმა ჯერ არ იცის, რა ხასიათზე დადგებიან პლანეტები. ჰოდა, კოტრიალობს ახლა ეს ხვადაგი ქინძი „ვივამედში" და ისვენებს მოძალებული ქალებიდან ერთსლა ჩამოკიდებია, იმასაც, ეტყობა, იმის გამო, რომ ეჩვენება, თითქოს სადღაც, მივიწყებულში, საღეჭი კბილი აწუხებს ყრუდ... კოტრიალობს და აპროტესტებს, „ოცნება" საბჭოთა კგბ-სავით იქცევა, ჩემს ხმას ახშობს, რომ ხალხს ვერ მივაწვდინო და ხალისი დამეკარგოსო.



საინტერესოა, ხვადაგი ქინძი მიშა საკუთარ „სასწაულმოქმედ" ბოტასებსა და მირონმდინარე მაისურს რა სურვილს უთქვამს, უპირველესად, „შმოტკებო, ქალები კვლავ მიმრავლეო", თუ „საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს, თორემ კიდევ ერთ ფილმს ამომიქექავს ეს უსაქმური ზურა ოშხერელიო".

უსაქმური თავი აბია, მე კი ამოვუქექავ და იმის იქითაც წავალ!

ჯერ რა ღვთის რისხვაა, რომ ჩინელებს ლაო-ძი ჰყავდეთ, სუნ-ძი ჰყავდეთ და ქართველებს ეს არასრულყოფილი ქართველი ქინ-ძი?!

ჩემი ბავშვობის მეგობარი ერვანდა ასე ჰკითხავდა: მიშაჯან, ცავატანემ, „კავკასკაია პლენნიცა" გახსომს? ჰოდა, ჯიგარო, „ტავარიშჩ საახოვი" რას ამბობს, აბა, ბაშკა გაატოკე: მე მარტო ორი გზა მაქ, ან პირდაპირ მმაჩის ბიუროში მივდივარ, ან ეგრევე პრაკურორთანაო".

ქინ-ძი მმაჩის ბიუროში ვერ წავა, ერთი ცოლი ორი ბავშვით ზედ აწერია და დანარჩენებს სადღა მიიწერს?

ისევ გლდანის ციხისკენ მიმავალი გზა ჩანს პერსპექტივნად.

აი, თქვენ კი გეცეთ პაპიჩემის ვირგლა ვირი!!!

**ზურა ოშხერელი**

# გმირობა მხოლოდ სიცოცხლის შეწირვა და ომის წინა ხაზზე ბრძოლა როდია



**წლების წინ, როცა პოპულარული ასე მარტივად ვერაფრით გახდებოდი, რადგან ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო, ქართულ მწერლობაში შემოანათა პატარა გოგომ, 10 წლის ეკა ბაქრაძემ, რომელმაც იმთავითვე დაიმკვიდრა ადგილი პოეტთა შორის და მკითხველთა გულებში. ვისაც ის პერიოდი ახსოვს, ახსოვს ეკას ლექსებით აჭრელებული გაზეთებიც, ახსოვს მისი შემოქმედებითი საღამოები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში... და ის გულწრფელი აღფრთოვანება, რასაც ეს გოგონა იმსახურებდა... როდესაც მისი ბავშვობის ხანა, „ტაში და ვაშა“ დასრულდა, დიდხანს ვერ გაიგო, რა უნდა ეკეთებინა, რადგან ეს მისთვის არავის უსწავლებია. ახლა თვითონ ასწავლის, მიიჩნევს, რომ პოპულარობა ბავშვობაში ძალიან დიდი ტვირთია. ამბობს, რომ ბავშვობის მისწრაფებანი გვიან განახორციელა, თუმცა, მაინც სულ ჰგონია, რომ საკუთარი თავი სადღაც გამორჩა...**

### ქართული მწერლობა დღეს

დედამიწას ახლა სამშობიარო ტკივილები აქვს, რაც მხოლოდ სიხარულსა და ახალ შეგრძნებებს როდი უკავშირდება. გამოხშირვის და ფასეულობათა გადაფასების პროცესი მიმდინარეობს, სამყარო თვითონ ალაგებს ყველაფერს. დალაგებისას კი, მტვერსა და ჭუჭყს ხშირად ისეთ კუნჭულებსა და სიღრმეებში აღმოაჩენ, ვერც წარმოიდგენ. პროფესიონალიზმი გაუფასურდა ყველა სფეროში. შესაბამისად, პოეზიასა და ლიტერატურაშიც. ბევრი „წერას აყვანილი“ „შემოქმედი“ გვყავს. თუმცა, არ მინდა, მენტორული ტონით ვისაუბრო. მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ჩემი უფროსი მეგობარი მზია ხეთაგური მეუბნება ხშირად, რომ სიმართლემ, პრინციპულობამ, ხმალამოღებულმა „ომმა“ შეიძლება, მხოლოდ დაგაზარალოს და მტრები შეგძინოს. ასეც არის. თუმცა, მართალი სიტყვა ყოველთვის ბაირაღივით იყო, არის და იქნება! სულმნათმა პოეტმა თქვა: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“ . დრო აუცილებლად გადარეცხავს მდარეს, გამორიყავს გამოსარიყს, გასაქრობს გააქრობს, დასარჩენი კი დარჩება. უბრალოდ, გული მტკივა, რომ ამასობაში ახალგაზრდებს უფუჭდებათ გემოვნება, ნებისმიერ სფეროში, არამხოლოდ პოეზიასა და მწერლობაში. მშობლის სიფხიზლეზეც არის დამოკიდებული, მოზარდის შემეცნება რომელი ფასეულობებისკენ იქნება მიმართული. ჩემს შვილში და ჩემი თეატრალური დასის „აკვარიუმის“ ბავშვებში, მე ჩემს აგურს ვდებ, ვასწავლი, რა არის ღირებული და რა დროებითი. დღეს, სოციალურ ქსელში წერის უფლება ყველას აქვს და თავის გვერდზე რასაც უნდა, იმას გამოაქვეყნებს, თუმცა როცა ვიღაც თავის მდარე ნააზრევს „აპიარებს”, რასაც ტელევიზიებიც ხელს უწყობენ, მოზარდი ფიქრობს, რომ ეს ღირებულია, კარგია და ბაძავს მათ. როცა სახელმწიფო იქნება ძლიერი, პურს რომ მეპურე გამოაცხობს, ლექსს პოეტი დაწერს და არა გრაფომანი - ყველაფერი დალაგდება. არ ვიცი, ეს როდის მოხდება, მაგრამ ჩრდილს აუცილებლად მოსდევს ნათელი, დაღმართს მოსდევს აღმართი. ასეა სამყარო მოწყობილი.

### ეპოქის ადამიანებთან

ირაკლი აბაშიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ლევან სანიკიძის, როინ მეტრეველის, ფრიდონ ხალვაშის, რაულ ჩილაჩავას სკოლა მაქვს გავლილი. ცნობილ ენათმეცნიერს, პროფესორ ალექსანდე ღლონტს „ბაბუთი“ მივმართავდი, რომელიც აკაკი შანიძის ნასტუდენტარი იყო. ეს ადამიანები, იმ ეგრეთ წოდებულ ავადსახსენებელ კომუნისტურ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი ავიც და კარგიც. დღეს რომ „ჩარეცხილების“ და „წითლების“ ეპოქაზე ასე ხელაღებით წერენ მავანნი და ამით სიძულვილს აღვივებენ ახალგაზრდებში, მათ რა შეუქმნიათ ამ ადამიანებზე მეტი? როგორ აძლევენ თავს ამის უფლებას? ის ისეთი რთული ეპოქა იყო, თუ ტაქტიანობას, დიპლომატიას და სიფრთხილეს არ გამოიჩენდი, ვერც კეთილი, ეროვნული საქმე გაკეთდებოდა და პრობლემებიც იჩენდა თავს. გმირობა მხოლოდ სიცოცხლის შეწირვა და ომის წინა ხაზზე ბრძოლა როდია. გასული საუკუნის ქართულმა მწერლობამ თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა და ზოგადად, მეორე რენესანსი იყო ის ეპოქა საქართველოსთვის. თუკი რამ ღირებული შეიქმნა კინემატოგრაფიაში, ქორეოგრაფიაში, პროზასა თუ პოეზიაში, მუსიკასა თუ დრამატურგიაში, მხატვრობაში, - ამ ეპოქის ხელოვანმა ადამიანებმა შექნეს.

დროისა და ეპოქის მაჯისცემას თუ არ მიაყურადე, ვერაფრით იტყვი სათქმელს, დარჩები პირში წყალჩაგუბებული, რადგან არ გათქმევინებენ... ამ ადამიანებმა კი მოახერხეს, იპოვეს შუალედი, იპოვეს საუკეთესო გამოსავალი, რაც მარტივი ნამდვილად არ იყო.

გული მწყდება, რომ ის თაობა თანდათან მიდის, იმიერი საქართველოს ბინადარი ხდება. აი, თუნდაც, ახლახან, ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდის, თენგიზ არჩვაძის სახით კაცურ-კაცობის, ნიჭიერების, პროფესიონალიზმისა და ღირსების ეტალონი გამოაკლდა საქართველოს, ერს - სინდისი, რომელსაც სინათლის სხივი შემოჰქონდა ნაცრისფერ სამყაროში. ვამაყობ, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობარი იყო.

### ირაკლი აბაშიძის საჩუქარი

11 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი ლექსების პირველი კრებული „ბეღურების ორკესტრი“ გამოვიდა პაატა ნაცვლიშვილის ინიციატივით, რომელიც მაშინ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი იყო. წიგნის უკანა ყდა ამშვენებს ირაკლი აბაშიძის ფაქსიმილე, სადაც ისეთი სიტყვები წერია, ახლაც კი უხერხულად ვიშმუშნები, როცა ვკითხულობ... ხელს გადავუსვამ ხოლმე მის ხელნაწერს... ჩემი პირველი პუბლიკაციების შემდეგ, საქართველოს კუთხე არ იყო დარჩენილი, საიდანაც წერილი არ მომდიოდა. მათი უმრავლესობა დღემდე შენახული მაქვს. მწერდა დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა, კაცი თუ ქალი, მწერდნენ სიტყვის ოსტატები, ჩემი ასაკის ბავშვები, მოსწავლეები... ისეთი სიყვარული იგრძნობოდა თითოეულ წერილში... თითქმის ყველას ვპასუხობდი.

სხვათა შორის, ჩემს არქივში გია ფერაძის ციხიდან გამოგზავნილი წერილი და ჩემდამი მოძღვნილი ლექსიც ინახება, დედამისის წერილთან ერთად, რომელშიც მისი შვილის ტრაგედიასა და სიმართლეზე მიყვებოდა პატარა გოგონას. მაშინ ქუჩაზე იდგა საფოსტო ყუთი და გაზეთებში ჩამალული მხვდებოდა ეს წერილები... გასაცნობად ბევრი ადამიანი მსტუმრობდა, ჩემს ორღობეს მათი ნაკვალევი ახსოვს...

* * *

ჩემს სახლში, ჩემს მეთერთმეტე დაბადების დღეზე თამადა იყო ჯანსუღ ჩარკვიანი, არაჩვეულებრივი ადამიანები ალამაზებდნენ სუფრას... პოპულარული ბავშვი რომ ხარ და ქუჩაში გცნობენ, გაჩერებენ, იცით, ეს რამხელა ტვირთია? მაგრამ მადლობა უფალს, ბავშვობიდან მაქვს ჩემი წესები, ჩემი კანონები და იშვიათად, რომ ვინმეს ან რაიმეს ავყვე, თუ ის საჭიროდ არ მიმაჩნია. ამან მიშველა. არ ავყევი ტაშს და ოვაციებს. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვწითლდებოდი და რა უხერხულად ვგრძნობდი თავს... ერთხელაც, თბილისიდან გვიან დვბრუნდით, პაპამ გვითხრა, რომ ჩვენთან, სახლში, ირაკლი აბაშიძე ყოფილა მოსული. ლიკანში ისვენებდა თურმე. გზად ხაშურში შემოუვლია, ორჯერ მოუკითხავს და მე სახლში არ ვიყავი. კოლხის ქალი იყო ბებია, - აბა, ტარიელა, შემოატრიალე მანქანაო, უთხრა ნათესავ მძღოლს და უკვე შებინდებულზე მივედით ლიკანში. სასტუმროს ნომერში ირაკლი აბაშიძის მეუღლე და ქალიშვილი დამხვდნენ. თავად პოეტი ფიჭვნარში სეირნობდა... ცოტა ხანს ფიჭვნარში ვისეირნეთ და ვისაუბრეთ, მერე კი ნომერში ავედით, სადაც მეუღლეს ჩაი მოემზადებინა და ხილის სუფრა გაეშალა.



- საქართველოდან პალესტინამდე რუსთაველის ნაკვალევს მივაგენი და თბილისიდან ბორჯომამდე ამ ბავშვის ნაკვალევს ვერ მივაგენიო, - თქვა ბატონმა ირაკლიმ, ჩვეული ენამოსწრებით. დიდხანს ვისაუბრეთ. უცებ მომიტრიალდა:

- ბაბუ, თბილისში ბინა გაქვს, იქ რომ ჩადიხართ, ვისთან რჩებით, - მკითხა. - შენ უნდა გქონდეს თბილისში ბინა, ბაბუ, რომ ჩამოხვალ, დამირეკე და მოდი ჩემთანო, მითხრა.

იმხანად, ირაკლი აბაშიძე გამომცემლობა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ დირექტორი იყო. ჩავედით თბილისში, დამაწერინა განცხადება თავის სახელზე, შემდეგ თავისი წერილი და მწერალთა კავშირის შუამდგომლობა დაურთო ამ განცხადებას და ირაკლი ანდრიაძეთან - თბილისის აღმასკომის თავმჯდომარესთან მიმატანინა. თურმე, ერთოთახიან ბინაზე ყოფილა საუბარი, მაგრამ კომპარტიის მდივნის, ჯუმბერ პატიაშვილის გადაწყვეტილებით, მომცეს ოროთახიანი ბინა ლოჯიით, ფილარმონიასთან, მაშინდელ ლენინის ქუჩაზე... მახსოვს, ხაშურიდან პირდაპირ სკოლის ფორმით გამაქცუნეს თბილისში, შემიყვანეს დარბაზში, ბინის ორდერთან და გასაღებთან ერთად, გადმომცეს ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ბრინჯაოს ფხვნილში ამოვლებული სიმბოლური გასაღები „ქართლის დედის“ გამოსახულებით, რომელიც საგანგებო ხის ყუთში იდო... მე გამოვედი, „ბიძიებს“ მადლობა გადავუხადე, შემდეგ კი გასაღებზე წასმულ ბრჭყვიალა ფხვნილს თითი ამოვუსვი და თვალებზე წავისვი... სულ მალე ბინას სარემონტო სამუშაო ჩაუტარდა მრისხანებითა და ობიექტურობით ცნობილი ნინა ჟვანიას ხელმძღვანელობით. ორდერი და სიმბოლური გასაღები ისევ შენახული მაქვს, ბინა კი, რომელთანაც უამრავი ძალიან ლამაზი მოგონება მაკავშირებს, წლების შემდეგ, სამწუხაროდ, ყოფით პრობლემებს შეეწირა...

### პოეზიის საღამო ფილარმონიაში და „ალია საქართველოდან“

14 წლის ვიყავი, როცა ფილარმონიის დიდ საკონცეტრო დარბაზში ჩემი პოეზიის საღამო გაიმართა. კონფერანსიეზე უარი ვთქვი და ღონისძიების წაყვანა თვითონ ვითავე. ეს იყო გასული საუკუნის 1990 წელი. საღამოს, რომელსაც რეზო ამაშუკელი თაოსნობდა, საქველმოქმედო ხასიათი მისცეს და შემოსული თანხა მთლიანად ბავშთა ფონდში ჩარიცხეს. ფონდის თავმჯდომარე პოეტი ხუტა ბერულავა გახლდათ. გადავსებული იყო დარბაზი. 31 მარტი იყო. ღონისძიების მსვლელობისას უამრავი ბარათი მივიღე, რომლებსაც იქვე, მაყურებლის თვალწინ ვხსნიდი, ვკითხულობდი და ვპასუხობდი. დღემდე თითოეული მათგანი მაქვს შენახული - სულ უბრალო ნაგლეჯიც კი, და ვაპი-

რებ, რომ ეს გაცრეცილი ბარათები წიგნად გამოვცე, სხვა წერილებთან და ფოტოებთან ერთად... უცებ, მომდის ასეთი წერილი: „ეკა, შემოგევლე, დღეს ხომ ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა, რას ეტყოდი მას?“ და ამას ვკითხულობ ხმამაღლა. დარბაზში საქართველოს მაშინდელი კომუნისტური მთავრობის წარმომადგენლები ისხდნენ. დარბაზი გაისუსა... ზვიად გამსახურდიას მსგავსი პატრიოტები გვიმრავლოს ღმერთმა, ვთქვი მე და დარბაზში ტაშმა იგრიალა. მთავრობის წევრებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს და უცებ ისინიც ტაშს აყვნენ...

დარბაზში იმყოფებოდა ისრაელიდან ჩამოსულ ქართველ-ებრაელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ისრაელში რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი აბრაამ სეფიაშვილი. 31 მარტი მისი დაბადების დღეც არის, ის იმ დღეს უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ბატონმა რეზო ამაშუკელმა ჩემს საღამოზე დასწრება სთხოვა. საღამოს დასასრულს ბატონი აბრაამი ამოიჭრა სცენაზე და დარბაზის წინაშე ისრაელში მიმიპატიჟა.



1990 წლის დეკემბერში ვეწვიე ისრაელს, სადაც ჩემი პოეზიის თაყვანისმცემლები, მეგობრები შევიძინე და შთამბეჭდავი საღამოები გავატარე ქართველ ებრაელებთან. წლების შემდეგ კიდევ ორჯერ ვიყავი ისრაელში, ისევ ბატონი აბრაამის მიწვევით. მასთან დღემდე მაქვს ურთიერთობა, ის ახლა ამერიკაში ცხოვრობს.

დღეს რომ გაზეთი „ალიაა“, ის მე და დეიდაჩემმა ჩამოვიტანეთ ისრაელიდან, ოღონდ მაშინ „ალია საქართველოდან“ ერქვა, ისრაელში გამოდიოდა და მას აბრაამ სეფიაშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინ დეიდაჩემი მარიკა ბაქრაძე კავშირგაბმულობის გაზეთის, „კვირის ფოსტის“ რედაქტორი იყო, აბრაამ სეფიაშვილმა მასთან დადო ხელშეკრულება, რის საფუძველზეც გაზეთი იგზავნებოდა ისრაელიდან, ადაპტირებული სახით იბეჭდებოდა საქართველოში და იყო ხიდი ისრაელში „ამოსულ“ ებრაელებსა და საქართველოში დარჩენილ მათ ნათესავებს შორის. მიზეზთა გამო, დეიდაჩემს საბერძნეთში გამგზავრება და გარკვეული ხნით იქ დარჩენა მოუწია. გაზეთის ახალ, თვითმარქვია რედაქტორს ბატონმა აბრაამმა გაზეთების გამოგზავნა შეუწყვიტა... ამიტომ „ალიას“ ჩამოაშორეს „საქართველოდან“ და დარჩა მხოლოდ „ალია“, რომელიც დღემდე ამ სახელწოდებით იბეჭდება.

ბავშვთა ფონდი ვახსენე, რომლის დაფინანსებით, იმავე 1990 წლის ზაფხულში, ბატონი ხუტა ბერულავას ინიციატივით, მოზარდთა ჯგუფი ესპანეთში, კატალონიაში გაემგზავრა. მეც მოვხვდი მათ შორის. ჩემთან ერთად იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ჭავჭავაძისა და, ასევე, 9 აპრილს დაღუპული მზია ჯინჭარაძის გოგონები. ჯგუფს ლია ხუციშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა თავად მიგვაცილა აეროპორტამდე. ათი ულამაზესი დღე შემორჩა ჩემს ბავშვურ მეხსიერებას, სალვადორ დალისა და პიკასოს სახლ-მუზეუმების, ცეცხლოვანი კორიდას შთაბეჭდილებებითა და ესპანური რიტმებით სავსე. ეს ჩემი პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობა იყო, რომელსაც მალევე ისრაელში, შემდეგ კი ამერიკაში მოგზაურობა მოჰყვა.

### „აკვარიუმი“ და განხორციელებული მისწრაფებანი

ფიზიკურად გადარჩენის ეპოქაში ვცხოვრობთ და ერთ წრეზე ვტრიალებთ, დიდი ხანია... სადღაც, ამ წრეში ჩემი თავი გამომრჩა... დიდი ხნის განმავლობაში ვერ გავიგე, რა უნდა მეკეთებინა. ჩემი ბავშვობის ტაში და „ვაშა“ დასრულდა და ვერ მივხვდი, დედამიწაზე მყარად როგორ დავმდგარიყავი, როგორ გავმკლავებოდი ცხოვრებისეულ გამოწვევებს. ჩემთვის არავის უთქვამს, არავის უსწავლებია - არც ოჯახის წევრებს! უმაღლესი განათლებაც მათი არჩევანით მივიღე და არა ჩემი სურვილით! შემრჩა ქება-დიდება და მკითხველის უსაზღვრო სიყვარული. დიდხანს ვარდისფერი სათვალიდან ვუმზერდი ყველაფერს. 2008 წლის ომის დროს, როცა მორიგი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო და ქვეყანა თავდაყირა დადგა, თბილისიდან ჩამოვბარგდი მშობლიურ ხაშურში ბავშვით ხელში იმ იმედით, რომ მალე უკან დავბრუნდებოდი, მაგრამ აქამდე შემოვრჩი და ვფიქრობ, ეს ჩემი შვილის სუფთა გარემოში გაზრდისთვის იყო კარგი.

მიუხედავად იმისა, რომ ხაშური ჩემთვის უცხო არ იყო, იოლი არ აღმოჩნდა ფეხის მოკიდება ისეთი მეამბოხე, მოუსყიდავი და პრინციპული ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ. მაშინდელი პოლიტიკური სიტუაცია, სირთულეები, რომლის გახსენება აღარ მინდა, მძიმედ გადასალახი აღმოჩნდა ჩემთვის. ეკა ბაქრაძის ლეგენდა წარსულში დარჩა. იმდროინდელ ხელისუფლებას ეკა ბაქრაძე კი არა, შოთა რუსთაველი და გალაკტიონი აღარ უნდოდა. რთული იყო დასამკვიდრებლად ბრძოლა. ვინაც დახმარების ხელი გამომიწოდა ლიტონი სიტყვების ნაცვლად, ეს ჩემი ბავშვობის მაესტრო, ლიტერატურის ქომაგი და არაჩვეულებრივი შემოქმედი მურად მთვარელიძე იყო. 2015 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაზაზე „ლიტერატურული ხაშური“ დაარსდა, რომელსაც მე ვრედაქტორობ და რომელიც გაზეთ „ხაშურის მოამბეს“ ჩანართია. იყო ჩემ მიერ დაფუძნებული ლიტერატურულ-შემეცნებითი ჟურნალი “გზაჯვარედინი”, რომელიც უსახსრობის გამო დაიხურა. შემდეგ იყო ჩემი პროექტი „ვარსკვლავთცვენა“. საკუთარი ურთიერთობებით ჩამომყავდა ხელოვანი ადამიანები და ისევ ხაშურის ინტელიგენციის ერთსულოვნებით ვახერხებდით კულტურული საღამოების მოწყობას. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ფინანსური სარგებლის მომტანი, მაგრამ ამით ვემსახურებოდით სულიერებას. პარალელურად, 2015 წელს გაჩნდა ჩემი საბავშვო თეატრალური წრის „აკვარიუმის“ დაარსების იდეა. გადავწყვიტე, რაც თბილისში მსახიობების ჯგუფთან მუშაობისას ვისწავლე, რაც ჩემში შინაგანად იყო, ბავშვებისთვის მესწავლებინა. მათ სწორ მეტყველებასა და მხატვრულ კითხვას შევასწავლიდი. ერთი წლის შემდეგ ფესტივალში მონაწილეობისათვის მოვსინჯე ძალები და უკვე დრამატული კუთხით დავიწყე მუშაობა. 2018 წელს გამოცემულ ჩემს საბავშვო ლექსების კრებულში შესულია პიესაც, რომელიც ჩემი მოსწავლეებისთვის დავწერე. წიგნი მათ მიერ ნათამაშევი ამავე სპექტაკლის კოსტუმირებული ფოტოებით დავასურათე. ისტორიას დარჩა მათი სახეები.

არ შემიძლია არ აღვნიშნო საბავშვო თეატრალური ფესტივალების ფუძემდებელი და ორგანიზატორი, ქალბატონი თეა დავითაია, რომელიც სულს, გულს და ენერგიას დებს მოზარდთა შემოქმედებით განვითარებაში. მისი დაარსებულია ფესტივალი „მზიანი



საქართველო“ ქობულეთში, „ქიზიყი“ - სიღნაღში, „ფანტელი“ - ბაკურიანში, მალე თბილისში მისი ორგანიზებით სერგო ზაქარიაძის სახელობის ფესტივალი ჩატარდება, სადაც „აკვარიუმიც“ წარსდგება. 2017 წლიდან ფესტივალებში ვმონაწილეობთ და ბავშვებთან ერთად მეც ვიზრდები. ჩემი მოსწავლეები ამაყობენ საუკეთესო ნომინაციებითა და პრიზებით. საკმაოდ წარმატებულები ვართ. ყველაფერს მხოლოდ საკუთარი სახსრებით და მშობლების თანადგომით ვახერხებთ. მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ და ამ ყველაფერს მარტო ვუძღვები. მიმაჩნია, რომ კარგი საქმის კეთება დედაქალაქის გარეთაც შეიძლება, ოღონდ ხელშეწყობა აუცილებელია. ჩემი მოწოდება, ბავშვობის მისწრაფებანი გვიან მაინც ამიხდა, ჩემს შვილში განვახორციელე: მსახიობობაზე ვოცნებობდი და გიორგი არის ჩემი წრის წამყვანი მსახიობი, შემდეგ რეჟისორობა მინდოდა და ჩემი საბავშვო სპექტაკლების სცენარის ავტორი და რეჟისორი ვარ, სამეჯლისო ცეკვები მიყვარდა და ჩემმა შვილმა მიიღო გარკვეული ცოდნა ამ მიმართულებით, ის ახლა თვითონ დგამს ქორეოგრაფიულ ნომრებს “აკვარიუმის” სპექტაკლებისთვის, რომლის რეპეტიციები და პრემიერა ჩემს “სახლის თეატრში” იმართება. გარდა ამისა, გიორგი წერს ლექსებს, პროზას, კარგად აზროვნებს... ასე რომ, შემთხვევით არაფერი ხდება.

### ვახტანგ ხარჩილავას პოეზია „აკვარიუმში“

ვახტანგ ხარჩილავას ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი, იმ დროიდან, როდესაც „მერანში“ იყო მისი კაფე, სადაც შემოქმედებითი საღამო მოიწყო. საღამოს გურამ ფანჯიკიძე ესწრებოდა, რომელიც იმხანად მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა.

ძალიან მიყვარს ბატონი ვახტანგის წიგნი „მიწისქვეშა მდინარე“. იმდენჯერ გამოუვლია ამ წიგნს ჩემს ხელში, რომ სულ დაიფურცლა, „სკოჩით“ მაქვს დაწებებული. მოგვიანებით თავისი ორტომეულიც მაჩუქა, მაგრამ მე მაინც უფრო ის ძველი წიგნი მიყვარს...

ორი წლის წინ, ბატონი ვახტანგი “ვარსკვლავცვენაზე” მოვიწვიე ხაშურში, სადაც ჩემი ნორჩი მსახიობების მიერ წაკითხული თავისი ლექსები მოისმინა. ისეთი ბედნიერი იყო... უფროსი ასაკის ბიჭებთან მუშაობას მისი პოეზიით ვიწყებ: “სავსეა ხალხით სამყაროს ეზო”, “ამადეო მოდილიანი”, “...და საქართველოც გაგვექცევა საქართველოდან...”, “სიზმარი”, “ნოემბრის მწუხრი უკვე სწვევიათ”...

ჩვენ ვმეგობრობდით, ჩემთვის დღესასწაულების მოლოცვა არასდროს ავიწყდებოდა, ბოლოს გაზაფხული მომილოცა... მე კი არასდროს მავიწყდებოდა მისი დაბადების დღე - 17 მარტი. დავურეკავდი და დავიწყებდი მის ლექსს: „ჩვენ თევზები ვართ, გვმფარველობს წყალი, წყალი - ამ მიწის ლურჯი სისხლი. ...ჩვენ თევზები ვართ, ჩვენი არის ჩვენი ტკივილი...”

ვახტანგ ხარჩილავა იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი, ნიჭიერი პუბლიცისტი და საუკეთესო ადამიანი. მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი ქვეყნისათვის... ვწუხვარ, რომ არ დასცალდა.

**მოამზადა**
**ნონა ქარქაშაძემ**



# „შეუთავსებელთა შეთავსება“

**რეტროსპექტივას უძღვება სსუ-ის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი, მწერალი გური ოტობაია. მისი 5-ტომეულის სახელწოდება „შეუთავსებელთა შეთავსება“ სამყაროს სინონიმია, რომელიც ნემსის წვერზე ატევს ყინულს და ცეცხლს, ბოროტს და კეთილს, სიკვდილს და სიცოცხლეს. ამავდროულად, ეს წიგნი ზედმიწევნით ასახავს ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის შემოქმედი პროტოიბერიელების დღემდე უცნობ, დაფარულ ცოდნას.**

**წინამდებარე პუბლიკაცია წიგნის საგაზეთო ვარიანტია.**

## წერილი მეორე

საკრალური (იდუმალი, დაფარული) თემების ქართველ მკვლევარებს სცოდნოდათ, მარცვალი **„ენ“** ღმერთის ტოლფასი რომაა შუმერულში, ამდენი ცდომილება ნამდვილად არ მოუვიდოდათ X ს. ბერის, **იოანე-ზოსიმეს** მესიანისტური ძეგლის, **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“**-ს ანალიზისას. მრავალთაგან მხოლოდ ერთადერთი, ნეტარხსენებული **ზვიად გამსახურდიამ** ამოიცნო ეს საიდუმლოება, ოღონდ — ნაწილობრივ. მისი განმარტებით, ძეგლში ნახსენები „ენა“, შეუძლებელია, სამეტყველო ინსტრუმენტი ყოფილიყო; რომ იგი გულისხმობს განდობილთა გაერთიანებას, ხალდასხმულთა კასტას და, არავითარ შემთხვევაში, ვერბალურ (სიტყვიერ) ფენომენს.

დავაკვირდეთ ბიბლიის **დაბადების** დასაწყისს: **„პირველითგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვაი იგი“**, წარმოიდგინეთ, რა სიცხადეს შეიტანდა, „სიტყვის“ ნაცვლად „ენას“ თუ ჩავსვამთ დასახელებულ ტექსტში?! **„პირველითგან იყო ენა, და ენა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო ენა იგი“**.

**ენა და ენანი**, ვგონებ, 14-ჯერაა ნახსენები იოანეს „გამოცხადებაში“ (აპოკალიპსისი) და ყველგან — რაღაც კასტის მნიშვნელობით, მაგრამ შუმერულში თუ ჩავიხედავთ, **„ენ“** მარცვალი (შეიძლება ითქვას, სიტყვა, რადგანაც შუმერულში ერთ საგანს ერთი მარცვალი შეესაბამება) ყველგან ღვთიურის მიმანიშნებელია. მაგ.: „ენ-ქი“ ნიშნავს ღმერთს მიწისას; „ენ-ლილ“ ნიშნავს ღმერთს ჰაერისას და ა. შ.

დღეს მსოფლიოში 5000-ამდე ენაა, და თითოეულს თანაბარი, დაახლოებით 2000-3000 სიტყვა მოეპოვება. სიტყვათა ამ სიმრავლეს ენებში იწვევს მათში არსებული პრეფიქს-სუფიქსების ოდენობა. მაგალითად, ქართულს 14 ზმნისწინი მოეპოვება და შესატყვისად ზმნა „ფრენაც“ 14-ჯერ გვხვდება ლექსიკონში: **აფრენა, გაფრენა, გადაფრენა, გადმოფრენა, დაფრენა, მიფრენა, მიმოფრენა, მოფრენა, შეფრენა, შემოფრენა, ჩაფრენა, ჩამოფრენა, წაფრენა, წამოფრენა...** მეგრულს ასეთი მაწარმოებელი 2300 გააჩნია და, ცხადია, ზმნაც შესაბამისი რაოდენობის მოეპოვება.

აქვე საყურადღებოა ერთი გარემოებაც: **ბუმფელდისა** და **პავლოვის** დაკვირვებით, დანაწევრებულ მეტყველებას ასაბამიერებს ბუნებაში არსებული საგნებისა და მოვლენებისადმი მიმბაძველობა. ამ დებულებას ჩვენ მივყავართ უფრო დიდ აღმოჩენამდე — **პოლიფონიამდე, მრავალხმიან სიმღერამდე.** როგორც ირკვევა, პოლიფონია თავდაპირველად არ ყოფილა ესთეტიკური ტკბობის საგანი. ის შორეულ წლებიდან მოჰყვება ადამიანს და არსებითად მის გაჯანსაღებას ემსახურებოდა.

დედამიწის კატასტროფამდე (12 000 წელი) გაცილებით ადრე, 200 000 წლის წინათ ადამიანის მსგავსი მაიმუნისგან **Homo erektus**-ისგან (ფეხზე მდგომელი ადამიანი) ჩამოყალიბდა **Homo sapiens**-ი — მოაზროვნე ადამიანი. მდედრთან ზეზეურად თანაცხოვრებამ მამრს თანდათან შესძინა გამართული სიარულის ჩვევა. ამ მომენტმა კარდინალურად გადაასხვაფერა ადამიანი: საშრომლად წინა კიდურები გამოუთავისუფლა; გაუმართა ხერხემალი; შუბლის მაჩვენებელი ნელ-ნელა 90 გრადუსს, გონიოს მიუახლოვა (გონიო, მართი, მართალი კუთხე — $90^0$ ქრისტეს შუბლის სიმბოლოა). გადაუადგილა შიდა ორგანოები. ეს პროცესი საზიანო მხოლოდ წინა ჯირკვალისთვის აღმოჩნდა. მანამდე პროსტატიტი მიმყუდროებულ ადგილას განცხრომით გრძნობდა თავს, თუმცა ადამიანის ფეხზე წამოდგომამ იგი განაშიშვლა და თბილი საფარველის უქონელს ბუნების ყველა მოვლენა: სიცივე, წვიმა, სიცხე, ქარი, პირველ რიგში, მას დაატყდა თავზე.

მოკლედ, ადამიანის პროგრესულად განვითარების ფონზე წინა ჯირკვალი დეგრადაციის გზას დაადგა — მამრს უვიწროვდება ხმა, უთხელდება თმის საფარველი, უჩნდება **ფემინინური** (ქალური) მიდრეკილებები. და აქ ისევ ქურუმულმა ცოდნამ იმარჯვა. მათ ათასობით ცდის შედეგად კარგად შეისწავლეს ადამიანის ანატომია და მიხვდნენ, რომ პროსტატიტის გვირგვინი — საყლაპავი მილია, ხორხი; მიხვდნენ, რომ ამ ორგანოს მეშვეობით შესაძლებელი იყო ადამიანის განკურნება მისი ვიბრირების გზით. და აჰა, იწყება ადამიანის ხორხის ამოძრავება გაბმული ბგერით.

4000 წლის წინათ შუმერებმა უკვე იცოდნენ მრავალხმიანი სიმღერები. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ოთხსიმიანი ჩანგი. ბგერის რეზონანსს სასწაულის მოხდენა ძალუძს. ჰარმონიულ ბგერები დადებითად მოქმედებენ ცოცხალ ორგანიზმებზე და პირიქით, ხმაური, უხეში ბგერები იწვევენ მათ მოშლას, განადგურებას. ელექტრონულ მიკროსკოპში წყლის მოლეკულები „იბადრებიან“ საამური ხმებისგან, ხოლო უხეში ხმებით „იკუშტებიან“, „იჭმუხნებიან“ სულიერი არსებასავით. **ვინც მრავალხმიან სიმღერებს მღერის,** მისი ფილტვები გაცილებით მეტი მოცულობისაა, და ამდენად, უფრო მეტ ჟანგბადს აწვდის ტვინის ნეირონებს, რომელიც წესიერი ექვსკუთხედის (თოვლის ფიფქის, ფუტკრის ფიჭის) კრისტალის აღნაგობისაა. ასეთი პიროვნებები მართლაც რომ წარმატებულები არიან ნებისმიერ საქმიანობაში. თუმცა, შეძენილი ნიშან-თვისებების შთამომავლობისთვის გადაცემა არ შეუძლიათ, მით უფრო, ქართველებივით შორ ქორწინებას თუ მისდევენ — **აუტბრინდინგს,** ვინაიდან მსგავსი შეწყვილებით ჰიბრიდული გენოტიპები ჩნდებიან.

სემიტებმა იცოდნენ გენეტიკის მართვა. ამისი წინაპირობა ნათესაური ქორწინებაა — **ინბრინდინგი**. ასეთი შეუღლების შედეგად იბადებიან გონებრივად ძლიერი, მაგრამ ფიზიკურად დეპრესიული ტიპები. ბიბლიურმა **ისააკმა** გობებში დანით აჭრელებული ჯოხები ჩაუყარა დოლის დროს ცხვრის ფარას და წარმოიდგინეთ, ბატკნების 99 პროცენტი ჭრელი დაიბადა. ასე დასაჯა ისააკმა ხარბი ბიძა-სიმამრი, რომელიც ლამის 14 წლისას მუქთად ამუშავებდა ძმისწულს, ჯერ შეუხედავი უფროსი ასული **ლია** შესთავაზა ცოლად, ისააკისთვის საყვარელი **რებეკა** კი მხოლოდ 14 წლის შემდეგ აღირსა.

ქართველი კაცი ოდითგანვე მისდევდა არანათესაურ ქორწინებას, რომლის შედეგად, როგორც წესი, ჩნდება ფიზიკურად ძლიერი ინდივიდი, მშვენიერი სულით და ხორცით, თუმცა ზემოთ თქმულისამებრ, ამ თვისებებს მომდევნო თაობებს ვეღარ გადასცემს. და, აი, ბრძენთაბრძენი ქურუმები ჩვენს შორეულ წინაპრებს ციბრუტებივით ცეკვებს აწყებინებენ. წარმართულ პერიოდში ეს თავბრუდამხვევი ორმაგი, სამმაგი ბრუნები სულაც არ იყო ზეციური ღვთაებების — მზისა და მთვარის ტრიალის გადმოტანა ქორეოგრაფიაში.

აქ სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე: ადამიანის სხეულის მასისა და მისი ციბრუტის სისწრაფის შეფარდების კოეფიციენტი გაცილებით აღემატება დედამიწის მასისა (59722X1024 კგ) და მისი ბრუნვის სიჩქარის (30 კმ/წ-ში) შეფარდების კოეფიციენტს. **ცეკვაში ციბრუტისას ადამიანი გადის დედამიწის მიზიდულობის ზეგავლენიდან და იძენს გენეტიკური ხსომიერების უნარს**. ეს საიდუმლოება შემონახულია ჩვენს ეთნოგრაფიაში **ბერიკაობის** ტრადიციით, იგივე **იბერიკონით,** ანუ იმღერე-იროკე, იმღერე-იცეკვეთი. შემთხვევით როდი ბრძანებს **ჰეგელი, ევროპეიდული რასა ქართველებისგან წარმოსდგებაო,** მაგრამ მან და არც ამ სიტყვების პირველად წარმომთქმელმა **კანტმა** აღარ იცოდნენ, თუ რისი შემწეობით იყო ეს ყოველივე, საიდან ჰქონდათ შეძენილი დასახელებული ნიშან-თვისებები ქართველებს.

დიახ, **იბერიკონი** — იმღერე-იცეკვე, იმღერე-იროკე, გახლდათ ჩვენი შორეული წინაპრების უმთავრესი მაცოცხლებელი ენერგია, რომელმაც ათასწლეულების ქარცეცხლი გამოგვატარა. და ტოტალური გენოციდების მსხვერპლნი, დღემდე თუ ვსულდგმულობთ ცისქვეშეთში, უმეტესწილად მისი მეშვეობით. დიახ, **„იბერიკონი“** — იბერ-იროკე, იმღერე-იცეკვე გახლავთ ჩვენი ეთნოსისთვის დიდი ილიას ნაბრძანები ფორმულა — **მამული, ენა, სარწმუნოება**; დაახლოებით იგივე სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანძური, როგორიცაა დიდებული **ჩინელებისთვის** ჩინეთის დიდი კედელი, ჩრდილოეთის მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან რომ დაიცვა საუკუნეების განმავლობაში; გენიალური **ებრაელი** ხალხისთვის ასეთი დამცავი მექანიზმი ახლო ქორწინება გახლდათ, ინბრინდინგი; ხოლო ასევე გენიალური **სომეხი** ერისთვის მსგავსი დამცავი სახსარ-საშუალება **მონონაციონალური** ეთნოფსიქოლოგია გვესახება.

გია ყანჩელმა ერთხელ ბრძანა: „მე ვიცი, ისე დავტოვებ ამ ქვეყანას, ვერ მივიღებ პასუხს კითხვაზე, როგორ შეიქმნა ქართული ხალხური მრავალხმიანობა. ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარი ფენომენია. ერთადერთი, ვიცი ის, რომ ხალხური მუსიკა ხალხის მიერ მოედნებზე არ იქმნებოდა, ამას ქმნიდნენ გენიალური ანონიმები“. დიახ, ცამდე მართალია ნეტარხენებული დიდებული კომპოზიტორი. პოლიფონიას ქმნიდნენ ზენიჭიერი ქურუმები, ათასწლეულებს მიღმა, როგორც სამკურნალო, პროფილაქტიკურ საშუალებებს. სიმღერით დღესაც კურნავენ „ბატონებით“ ინფიცირებულ ბავშვებს.

ჩვენ გასაგები ენით მივუთითეთ, თუ რა შორეული წლებიდან მისდევდნენ ჩვენი წინაპრები პოლიფონიას და ფერხულ-ხორუმებში თავბრუდამხვევ ციბრუტებს. ეს განძეულობა დედამიწისეულ კატასტროფამდე (12 000 წელი) გაცილებით ადრე მოეპოვებოდათ პროტოიბერიელებს და მათ ეთნარქ **იოანს**, ველური შუმერები რომ განანათლა მესოპოტამიაში. ახლა ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს, **ლეონტი მროველის** „ქართლის ცხოვრება“ რამდენად გამოადგება ჩვენს ხალხს ისტორიის მართებულ წყაროდ, რომელიც ქართველებს **ნოეს** უფროსი შვილის, **იაფეთის** შთამომავლებად მიგვიჩნევს. როგორც ცნობილია, **სემიტები** ვერც პოლიფონიური სიმღერებით გამოირჩევიან და ვეღარც ცეკვებში ციბრუტებით. ასევე არიან **ქამისგან** აღმოცენებული მუსულმანები. განა შესაძლებელია, ათასწლეულებით დაწინაურებულმა ეთნოსმა გაცილებით ახალგაზრდისგან ცხოვრების ურთულესი კანონები ისწავლოს?!

დროა, ჩვენ ასობით უცხოელი თუ შინაური მეცნიერის მოსაზრებები ამ კუთხით სააშკარაოზე გამოვიტანოთ; რომ პროტოიბერიელები არიულის ტალღის ღვარცოფამდე მთელს ევროპას აღავსებდნენ; რომ პროტოიბერიელია კაცობრიობის ლოცმან-მეწინავე, რომელსაც თვალის დაუხამხამებლად შეეძლო ყველაზე უძვირფასესის, სულის, სხვისთვის გაღება. მართალია, დღეს იგი დამცრობილ-დამდაბლებულია ათასწლოვანი ომებით, გენოციდებით, ასიმილაციებით; კავკასიაშია ლოკალიზებული და ელის თავისი დღის გამონათებას. ჩვენ დანამდვილებით ვიცით და გვჯერა რომ ასეთი დღე მისთვის უეჭველად გამობრწყინდება ადრე თუ გვიან, მაგრამ როგორც იტყვიან, ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით მომდევნო წერილებში.



# როცა მოძალადე ქალია...



ძალადობა რომ გაუმართლებელია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ რეალური მოძალადე სუსტ სქესად აღიარებული ქალია?!

თითქოს უხილავმა დირიჟორმა აიქნია ხელი — ქალზე „მოძალადე“ მამაკაცების სტატისტიკა ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება. რა თქმა უნდა, ძალადობა ხდება არა მხოლოდ ქალზე, არამედ, ყველა უმწეო არსებაზე, მაგრამ საიდანღაც ყურით მოთრეული ე.წ. გენდერული საბაბით, ამოჩემებული მოძალადე სუბიექტი რატომღაც მაინცდამაინც მამაკაცი გახდა.

„საერთო გაზეთმა“ ვრცელი წერილი მიუძღვნა ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის საკუთარ მეუღლეზე ძალადობის საქმეს, რომელიც მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ დანაშაულის არარსებობის გამო სრულად გაამართლა. ბარაქალა ამ ქალბატონს, რომელმაც პროფესიული ღირსება მითითება-იძულებებზე მაღლა დააყენა!

ვიფიქრეთ, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ეს ფაქტი სიახლეს შემოიტანდა და ნამდვილი დამნაშავის დადგენამდე ქალისგან პროვოცირების მახეში გაბმულ მამაკაცებს აღარ დასჯიდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფერი იცვლება — სასამართლოს დარბაზები ისევ სავსეა ძალადობის საბაბით წარმოებული პროცესებით, ხოლო ციხეები — უდანაშაულო მამაკაცებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია განიხილავს მოქალაქე დ.ს.-ის საქმეს, რომელსაც ჯერ საპატრულო პოლიციამ, ხოლო შემდეგ რაიონის პოლიციამ ჯ.მ.-იანის მხოლოდ სატელეფონო ზარის საფუძველზე ერთიმეორის მიყოლებით შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს. მიზეზი ერთ შემთხვევაში სიტყვიერი შეურაცხყოფა აღმოჩნდა, ბოლო შემთხვევაში კი ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც, თურმე პოლიციისთვის იმის საფუძველია, რომ მესაკუთრეს საკუთრ სახლში არათუ ცხოვრება, მასთან მიახლოებაც კი აუკრძალოს. აღვნიშნავ, რომ დაზარალებული პირის ვინაობის გამჟღავნება პრობლემას არ წარმოადგენს, ამისგან მხოლოდ ამ ეტაპზე ვიკავებთ თავს. მკითხველს რომ წარმოდგენა შეექმნას, რასთან გვაქვს საქმე, მოკლედ გაგაცნობთ საქმის ვითარებას, მხოლოდ დაზუსტებაზე შევიკავებთ თავს.



დ.ს.: **„2023 წლის 5 ოქტომბერს, ჩემი რაიონის პოლიციამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზით გამომიწერა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც ამეკრძალა ე.წ. მსხვერპლთან, ჯ.მ.-სთან მიახლოება, რომელიც ცხოვრობს ჩემს საკუთარ სახლში, სადაც დავიბადე, გავიზარდე და მემკვიდრეობით გადმომეცა დედისგან. ეს პიროვნება, ე.წ. მსხვერპლი, არც ჩაწერილი მყავს ჩემს ბინაში, არც არანაირი სტატუსი არ აქვს, მხოლოდ შემთხვევით გაცნობილი ქალია, რომელმაც შვილი გამიჩინა. აღნიშნული ქალბატონი გავიცანი ჩემს მაღაზიაში, ქვემო ფონიჭალაში, როდესაც ნაბახუსევზე მყოფი შემოვიდა და ვალად ერთი ბოთლი არაყი მთხოვა. კაცი ვარ და მარტივად ხელმისაწვდომ ქალზე უარი არ მითქვამს, ნებაყოფლობითი კავშირით დავახლოვდით. გარკვეული ხანი ჯ.მ. ბედნიერი იყო, რომ მდგმურად აღარ ცხოვრობდა, ორმოცი წელი პატარა ასაკი არ არის და რაღაცნაირად ავეწყვეთ... მის მიმართ ერთადერთი გრძნობა მქონდა, ასაკში მყოფ კაცს ოჯახი მინდოდა და მის წარსულს აღარ გამოვდევნებივარ.ვცხოვრობდით ნაქირავებ ბინაში, რადგან დედაჩემისთვის მიუღებელი იყო ამგვარი საეჭვო წარსულის მქონე ქალის ოჯახში მიღება. ვრცლად სასამართლო დარბაზში მოვყვები, ამჯერად, ვფიქრობ, ძირითად მომენტებს ვუსვამ ხაზს, რომლითაც იკვეთება ჯ.მ.-ის ინტერესი ჩემს საცხოვრებელთან დაკავშირებით და რატომაც მიწყობს სამართლებრივ „სეირებს“, მით უმეტეს, რომ სიტყვიერად მემუქრება, როგორ ამომაყოფინებს თავს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. აღვნიშნავ, რომ აქამდე ერთ წელს ამბობდა, ახლა 8 წელი აქვს აჩემებული.**

**ყველაფერთან ერთად, დიდი ხანია, ვეჭვობ, რომ ჯ.მ.-ს ფსიქიკური პრობლემები აქვს, რის თქმის საფუძველსაც მისი არამდგრადი ფსიქიკა და აგრესიული გამოვლინებები მაძლევს როგორც ჩემს მიმართ, ისე ბავშვისა და სახლში მყოფი ძაღლის მიმართ. მისი ერთ-ერთი ისტერიული შეტევის დროს ისე შემეშინდა, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოვიძახე. მადლობა მათ, რომ რაღაცნაირად კლინიკაში მისი გადაყვანა მოახერხეს. ვინაიდან პირადი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, სასამართლოს გამოთხოვის გარეშე მასზე წვდომა ვერ მექნება და უმძიმეს დღეში ვარ ამ მხრივაც. აბსურდული კანონებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი ბავშვი დედის კუთვნილებაა. ღვთის ნებით, გაიზრდება ჩემი შვილი და რაც ახსოვს, იმის გარდა სხვა რამესაც მიხვდება, მაგრამ მანამდე? მე მეშინია, არ ვიცი, ჯ.მ.-ს ნდობა, როგორც ადეკვატური დედისა, რამდენად შეიძლება...**

**რამდენიმე დღის წინათ განცხადება შევიტანე პოლიციაში, რათა რაიმე რეაგირება მოეხდინათ მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ საქმეებზე, მაგრამ ნაცვლად სამართლიანი გადაწყვეტილებისა, ე.წ. მსხვერპლის მორიგი ცრუ განგაშის საფუძველზე კვლავ მე გამომიწერეს შემაკავებელი ორდერი. ჯ. მ. დამექადნა, რომ საკუთარ სახლში ფეხს არ შემადგმევინებდა და უკვე მეორედ, ფაქტობრივად ზედიზედ (10 აგვისტო — შემაკავებელი ორდერი 30 დღე, 5 ოქტომბერი — შემაკავებელი ორდერი 30 დღე) გამოაწერინა შემაკავებელი ორდერი. ბოლო ორ ორდერზე ხელი არ მოვაწერე, რადგან სიცრუეს აღარ დავეთანხმე. არც მანამდე მოვაწერდი ხელს, მაგრამ არ ვიცოდი, უარყოფის უფლება თუ მქონდა...**

**ამა წლის 10 აგვისტოდან სახლში ვერ შევსულვარ, ჯ.მ. მყისიერად ტეხს ცრუ განგაშს და მოძალადე გამოვდივარ მე, ვიღაც ქალი კი ნიშანს მიგებს. მძინავს მანქანაში და შეძლებისდაგვარად ვწესრიგდები ხან სამსახურში, ხან სამადლოდ რომელიმე ახლობელთან. ვინაიდან არ ვარ გარკვეული იურისპრუდენციაში, ამასთანავე, დამთავრებული მაქვს ფიზიკა-მათემატიკური სკოლის რუსული სექტორი და სამხედრო სასწავლებელი რუსულ ენაზე, არ ვიცოდი, რომ შემაკავებელი ორდერის გასაჩივრება შემეძლო.**

**ყველა სამართალდამცავ ორგანოს, ამჯერად უკვე პატივცემულ მოსამართლეს ვთხოვ, მოითხოვოს ჯ.მ.-ისთვის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში; ასევე, ამ შუამდგომლობასთან ერთად, ალადაშვილის სახელობის კლინიკიდან გამოითხოვონ მისი ჯანმრთელობის ანამნეზი, რა დიაგნოზით მოათავსა ჩემს მიერ გამოძახებულმა სასწრაფომ იქ, ან ჯანდაცვის სამისტროდან გამოითხოვონ მისი ჯანმრთელობის სრული სურათი, რადგან ე.წ. მსხვერპლი ამ ყველაფერს მიმალავს. მაქვს ეჭვი, რომ ბავშვის მასთან ყოფნა, შესაძლოა, სახიფათო იყოს. ჩემთვის უცნობი მიზეზით, ადგილობრივი პოლიცია ჩემი განცხადებების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენს.**

**რეალურად, ქალის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი მე ვარ და ეს პრობლემა არ გადაიჭრება, თუ სამართლიანი სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯ.მ-მ არ დატოვა ჩემი კერძო საკუთრების ფარგლები და არ აღმიდგა შემაკავებელი ორდერით შეზღუდული უფლებები. კერძო საკუთრების დაცული უფლება მხოლოდ ჩემზე არ ვრცელდება? მე რა ვქნა, როდემდე ვიცხოვრო ქუჩაში?“**

ჩვენი რესპონდენტის მსგავსად, არაერთი მამაკაცი ისჯება უკანონოდ. ზოგი, როგორც აქამდე დ.ს., დუმდა და კვლავ დუმს, არ აქვთ იმედი, რომ სამართალს მიაღწევენ, რადგან იციან, რომ არსებული კანონით ქალი ყოველთვის მართალია!

სსკ მუხლი 126:1. ოჯახში ძალადობა. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, - ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ხშირად სამართალდამცავებისათვის მანიპულირების საგანია მხოლოდ ქალის ჩვენება, რომ მან მეუღლის არასწორი მიმართვის ან ზედმეტად უხეშად მიმართვის გამო ტანჯვა განიცადა. როდესაც მოწმის სახით იკითხებიან, გამომძიებლებს მხოლოდ ერთი ფრაზა აკერიათ პირზე, ტანჯვა განიცადაო. გამოძიებას ჩაძიება არ აინტერესებს და უმეტესად ასეთ აღიარებაზე ამყარებენ ჩვენებას. პრაქტიკაში მრავლად არის შემთხვევები, როცა სახეზე არაფერია, პროკურატურა კი სასამართლოში ასე განმარტავს, მერე რა, არ დაუმცირებია მამაკაცს, მაგრამ მისი ქმედებით ქალმა ტანჯვა ხომ განიცადა, 126-ე მუხლის დანაშაულის კვალიფიკაციაში ჯდებაო.

ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმეზე მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ ჩოგბურთელი უდანაშაულოდ ცნო. იმედია, ჩვენი რესპონდენტის მსგავსი ადამიანების მიმართაც სამართლიანი განაჩენი დადგება...

მოსამართლე დ.ს.-ს შემთხვევას განიხლავს და საგამოძიებო ორგანოს, ალბათ, დაუსვამს შემდეგ შეკითხვებს: თუ დ.ს.-სგან ქალი მსხვერპლად ჩათვალეთ, რატომ არ გადაიყვანეთ სპეციალურ თავშესაფარში და მესაკუთრე რატომ გახდა იძულებული, დღემდე ქუჩაში ათენ-აღამოს; ან, როდესაც მომჩივანმა კაცმა წინასწარ წერილობით გაგაფრთხილათ, ეს ქალი პროვოკაციებს მიწყობს, ალადაშვილის კლინიკაშიც იწვა, რატომ არ დაინტერესდით და ფაქტები რატომ არ გადაამოწმეთ?

ვიცი, ამ და სხვა კითხვებზე მართლაც მოუწევთ კონკრეტულ ოფიციალურ პირებს პასუხის გაცემა, მაგრამ საქმე ასე დასრულდება თუ ისე, თუ კანონმდებლობა არ შეიცვლა და კონკრეტულად სსკ 126 პრიმა მუხლში არ გაფართოვდა დანაშაულთა შემადგენლობის წრე, საბოლოოდ მივიღებთ უდანაშაულო მამაკაცების დიდ არმიას, რომლებიც ქალებისათვის ვითომ მიყენებული გაუგებარი ტანჯვის გამო ისჯებიან. ვფიქრობ, ამგვარი მიდგომა დიდხანს ვერ გასტანს...

**ლევან ჭილლაძე**

# როგორ გახდა დოლარი მსოფლიო ვალუტა

**1944 წლის ივლისის ბოლოს ამერიკულ ქალაქ ბრეტონ-ვუდსში მოხდა მოვლენა, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკის ბედი განსაზღვრა. სწორედ მაშინ, იმ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე სავალუტო-საფინანსო სისტემას.**

**მსოფლიოს ძირითადი ვალუტა გახდა დოლარი, რომელიც ოქროზე იყო მიბმული. განისაზღვრა კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ვალუტების კურსი დოლართან მიმართებაში, ხოლო ცენტრალურ ბანკებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ დოლარის გადაცვლა საკუთარ რეზერვებში არსებულ ოქროზე. იმ დროსვე შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.**



**როგორ შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სისტემა.** 1944 წლის ზაფხულში, როცა უკვე გარკვეული იყო მეორე მსოფლიო ომის ბედი, სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლები დაფიქრდნენ, როგორ დაემყარებინათ გლობალურ ეკონომიკაში ომის შემდეგ წესრიგი.

სტაბილიზაციის შესაბამისი მექანიზმებზე მსჯელობა მიმდინარეობდა 1-დან 22 ივლისის ჩათვლით ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში (ნიუ-ჰემფშირის შტატი) გაერთიანებულ ერთა სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე. ღონისძიების მონაწილეები იყვნენ 44 ქვეყნის დელეგატები, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრები სსრ კავშირის, აშშ-ისა და ჩინეთის ჩათვლით.

სამკვირიანი დისკუსიების შედეგად სახელმწიფოებმა მოილაპარაკეს ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო გადახდების ახალი პრინციპების დანერგვის თაობაზე. ამგვარად შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის მსოფლიო სავალუტო სისტემა.







●

**ბრეტონ-ვუდსის სისტემის პრინციპები.** შემოიღეს ოქროს დევიზიური სტანდარტი, რომელიც ოქროსა და ორ სარეზერვო ვალუტას ეფუძნებოდა — დოლარსა და გირვანქა სტერლინგს. ამასთან, გათვალისწინებული იყო ვალუტების ოქროს პარიტეტების შენარჩუნება და საერთაშორისო სავალუტო ფონდში მათი ფიქსაცია. აშშ-მ დოლარი ოქროს გაუთანაბრა და ვალდებულება აიღო, დოლარი ოქროზე გადაეცვალათ უცხოურ ცენტრალურ ბანკებში, დოლარში ოქროს შემცველობიდან გამომდინარე.

ვალუტების კურსის შესაბამისობა დგინდებოდა დოლართან მიმართებაში ვალუტების ფიქსირებული პარიტეტების საფუძველზე. პარიტეტის საბაზრო კურსიდან გადახრის საზღვრად 1% დადგინდა. 10%-ზე მეტი დევალვაციისთვის საჭირო იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნებართვა.

შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი ამოცანა არასტაბილური ვალუტების მხარდაჭერა იყო.

●

**რა ხდებოდა მსოფლიო ეკონომიკაში ბრეტონ-ვუდსის სისტემის შექმნამდე.** ახალმა ფინანსურმა წესრიგმა შეცვალა ოქროს სტანდარტის ძველი წყობა. მანამდე თითოეულ ქვეყანაში ნაციონალური ვალუტის ერთეული პირდაპირ იყო მიბმული ძვირფასი მეტალის რაიმე ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამასთან, ქვეყნების ხელისუფლებები გადასაცვლელ კურსს დამოუკიდებლად ადგენდნენ.

ამასთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისა და 19020-30-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის დადგომის შემდეგ ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ოქროსმონეტარულ სტანდარტზე და გადავიდა ოქროს ზოდებზე და ამგვარად შეაჩერა ოქროზე ბანკნოტების თავისუფალი კონვერტაცია.

ამასთან, პარტნიორებთან შედარებით სავაჭრო და კონომიკური უპირატესობების მისაღებად სახელმწიფოებმა დაიწყეს საკუთარი ვალუტების ხელოვნური დევალვირება, რაც საერთო ფინანსურ არასტაბილურობას აძლიერებდა.

●

**როგორ მუშაობდა ბრეტონ-ვუდსის სისტემა.** ბრეტონ-ვუდსის სისტემის მოქმედების პირობებში არ შეიძლებოდა ერთი ვალუტის მეორეზე გადაცვლა, თავიდან ყველა ამერიკულ დოლარზე უნდა გადაცვლილიყო. ამიტომ ფრანგ ტურისტს იტალიაში ფრანკები ჯერ დოლარზე უნდა გადაეცვალა, შემდეგ ეს დოლარები ლირებზე და ისე გადაეხადა მაღაზიებში. იგივე პრინციპი მოქმედებდა საერთაშორისო გადახდებშიც.

დოლარი იყო ათვლის წერტილი ყველა ქვეყნის ვალუტის კურსისთვის, რომელიც ამ სისტემაში მონაწილეობდა. მისი ღირებულება ფიქსირებული იყო — ერთი უნცია ოქროს ფასი 35 დოლარს უდრიდა. სურვილისამებრ, შესაძლებელი იყო დოლარის გადაცვლა მის ოქროს ეკვივალენტზე.

სარეზერვო ვალუტების სტატუსი, რომლებიც ოქროს მარაგით იყო უზრუნველყოფილი, ორმა ვალუტამ მიიღო — დოლარმა და გირვანქა სტერლინგმა, მაგრამ მეორეს ცოტა ხანს და იშვიათად იყენებდნენ. ნელ-ნელა დოლარმა მთლიანად განდევნა ბრუნვიდან გირვანქა სტერლინგ და ოქრო და ძირითად სარეზერვო საშუალებად იქცა.

საბჭოთა კავშირი 1944 წლის კონფერენციაში მონაწილეობდა, მაგრამ ბრეტონ-ვუდსის სისტემის რატიფიცირებაში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომ საერთაშორისო გადახდებს ოქროთი ახორციელებდა.

●

**პრობლემა, რომელსაც აშშ წააწყდა.** დროთა განმავლობაში შეერთებული შტატები დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: მსოფლიოს ფულის ბრუნვის უზრუნველსაყოფად აშშ-ს მუდმივად ახალ-ახალი ბანკნოტების ბეჭდვამ მოუწია. ამის გამო დოლარის რეალური ღირებულება დაეცა და იმ ოქროს ფასიც, რომლითაც დოლარი იყო უზრუნველყოფილი, უფასურდებოდა. მაგრამ აშშ უკვე ვეღარ შეაჩერებდა ბანკნოტების ბეჭდვას, რადგან დოლარი კვლავ გადაცვლის ძირითად ვალუტად რჩებოდა.

1965 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა სიტუაციით ისარგებლა და აშშ-ს მოსთხოვა 1,5 მლრდ დოლარის ფიქსირებული კურსით ოქროზე გადაცვლა.

აშშ-ს მოუწია ფრანგებისთვის 3000 ტონა ოქრო მიეცა. მოგვიანებით ამ ხრიკით გერმანიამ და იაპონიამაც ისარგებლეს.

●

**რა არის ტრიფინის დილემა.** პარადოქსს, რომელსაც აშშ შეეჯახა ბრეტონ-ვურდის სისტემის მოქმედების დროს, „ტრიფინის დილემას“ უწოდებენ. ეკონომისტ რობერტ ტრიფინის პატივსაცემად, რომელმაც ეს კანონზომიერება შეამჩნია 1960 წელს. თრიფინის თქმით, რომ შეუძლებელია ერთდროულად დააფიქსირო ნაციონალური ვალუტის კურსი ოქროსთან მიმართებაში და ეს ვალუტა საერთაშორისო ვაჭრობის საშუალებად აქციო ეკონომიკისთვის უარყოფითი შედეგების გარეშე. რადგან სახელმწიფოს წინაშე დადგება დილემა: ნამდვილად მყარი ვალუტისთვის აუცილებელია, რომ ფულადი მასა არ აღემატებოდეს ოქროს მარაგს, მსოფლიოს მოთხოვნების უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია, რომ ფულადი მასა რაც შეიძლება მეგტი იყოს. შედეგად, მსოფლიო ბაზრის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებები ადრე თუ გვიან ქვეყანას იქამდე მიიყვანენ, რომ შეუძლებელი იქნება გამოშვებული ვალუტის ოქროთი უზრუნველყოფა.

●

**ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრიზისი.** ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებამ დაახლოებით 30 წელიწადს იარსება, რის შემდეგაც, 1970-იანი წლების დასაწყისში ეფექტიანობა დაკარგა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამის მიზეზი სისტემაში არსებული ხარვეზების გარდა, მსოფლიო ეკონომიკაში არსებული საეთო ტენდენციები გახდა.

როცა ომის შემდეგ ქვეყნებმა აღდგენა დაიწყეს და ეკონომიკამ ზრდა დაიწყო, ოქროს სავალუტო სტანდარტი ყველასთვის მძიმე ტვირთად იქცა, რადგან ქვეყანას არ შეეძლო ფულის გამოყენება, თუ მას ოქროს მარაგი არ გააჩნდა.

სისტემა ვეღარ იარსებებდა, რადგან ქვეყნების ხელმძღვანელებს არ მოსწონდათ დოლარის დომინირება და თავიანთი ვალუტის ამერიკულზე სავალდებულო მიბმა. ქვეყნებისთვის მოსახერხებელი იყო მოცურავე კურსზე გადასვლა, რომელიც წარმატებულ საგარეო ვაჭრობაზე, საექსპორტო და საიმპორტო პოტენციალზე იყო დამოკიდებული.

მსოფლიო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების შეთანხმებამ, რომელიც იამაიკაზე, კინგსტონში გაფორმდა 1976 წლის იანვარში და 1978 წლის აპრილში მოხდა მისი რატიფიცირება, ფაქტობრივად, დაასრულა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემის მოქმედება, რომლის ნაცვლადაც ეგრეთ წოდებული იამაიკის მსოფლიო სავალუტო სისტემა ამოქმედდა.

1993 წლიდან განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ უარი თქვა ვალუტის მყარ პარიტეტებზე და თავიანთი ვალუტების მცურავი კურსები შემოიღეს, მსოფლიო სავალუტო ფონდმა კი გააუქმა ოქროს ოფიციალური ფასი და კურსი მის დემონეტიზაციაზე აიღო.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: ვვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99